

# რესტორაცია პოლიტიკა სექტორების





რესტიტუცის პოლიტიკა  
საქართველოში

2020

დოკუმენტი მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის „ვანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

შინაარსზე პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და ის შესაძლოა არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.



**USAID**  
აშერისკალი სამსისავან

# E A S T • W E S T M A N A G E M E N T I N S T I T U T E

---

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLOG)

**პროექტის ხელმძღვანელი:** მარიამ ღავთაძე

# სერჩევი

1. შესავალი .....	6
2. სახელმწიფოს არაეფექტური პოლიტიკა რესტიტუციის ნაწილში.....	8
3. არადომინანტი რელიგიური ჰგუთების დაუბრუნებელი ქონება .....	14
ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია .....	14
სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესია .....	15
კათოლიკე ეკლესია .....	17
იუდაური თემი .....	17
მუსლიმი თემი .....	18
4. რესტიტუციის არსი და სხვა ქვეყნების გამოცდილება.....	20
უნგრეთი .....	21
ბულგარეთი .....	22
ესტონეთი.....	22
ლატვია.....	23
ლიეტუა .....	24
ჩრდილოეთი მაკედონია .....	25
პოლონეთი .....	25
სლოვაკეთი.....	27
გერმანია.....	28
რუმინეთი .....	29
უკრაინა .....	31
5. რესტიტუციის პოლიტიკის ანალიზი.....	33
6. საქართველოში რესტიტუციის პოლიტიკის გასატარებლად შესაძლო გზები და რეკომენდაციები .....	36
დანართი.....	38

# 1. შესკვერი

XX საუკუნეში, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, საქართველოში არსებულმა რელიგიურმა ჯგუფებმა თავიანთი სათემო ქონება დაკარგეს. საბჭოთა ხელისუფლებამ მათ ჩამოართვა როგორც რელიგიური, ისევე არარელიგიური დანიშნულების ქონება. დაიწყო რელიგიური ჯგუფების დევნა, გადასახლება, მიზანმიმართული განადგურება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რელიგიური გაერთიანებები დასუსტებულები იყვნენ. ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი გაქრა.<sup>1</sup> მათ, ვინც საბჭოთა რეპრესიებს გადაურჩა, დაკარგული ჰქონდა რელიგიური ქონება: საკულტო ნაგებობები, სასაფლაოები, სკოლები, მიწები და ა.შ.

განსაკუთრებით დიდი მოცულობის ქონება დაკარგეს იმ თემებმა, რომლებსაც უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო კულტურულ-ისტორიული კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან: მართლმადიდებელმა ეკლესიამ, სომეხთა სამოციქულო ეკლესიამ, რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ, მუსლიმმა თემმა, ლუთერულმა ეკლესიამ და იუდაურმა თემმა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რელიგიური გაერთიანებების ქონების მდგომარეობა სხვადასხვაგვარი იყო:

- ▶ დანგრეული და განადგურებული;
- ▶ გამოიყენებოდა სხვა დანიშნულებით;
- ▶ შენარჩუნებული იყო სრულად ან ნაწილობრივ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რელიგიური გაერთიანებები ცდილობდნენ დაკარგული რელიგიური ქონების დაბრუნებას. 1991 წელს, სახელმწიფომ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამორთმეული ქონება.<sup>2</sup> სახელმწიფომ მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად ცნო და გადასცა მას საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი და არამოქმედი მართლმადიდებლური ტაძრები, მათი ნანგრევები და მიწის ნაკვეთები.<sup>3</sup> საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება ითვალისწინებს ეკლესიისთვის XIX-XX საუკუნეებში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებასაც.<sup>4</sup>

2002 წლიდან, ცენტრალური ბიუკეტიდან სახელმწიფო ყოველწლიურად აფინანსებს საქართველოს საპატრიარქოს. ამის მიზეზად ასახელებს წარსულში მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თუმცა, ამ დრომდე არ არის დათვლილი მართლმადიდებელი ეკლესიისთვის XIX-XX საუკუნეებში მიყენებული ზიანის მოცულობა. შესაბამისად, საპატრიარქოს დაფინანსების პრაქტიკა

1 სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2008.

2 1990 წლის 12 აპრილს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესაუბლივის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება №183, რომლის თანახმადაც, „საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა, უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა“.

3 საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 7, 2002.

4 იქვე: მუხლი 11.

თავისი არსით დოტაციაა და არა რესტიტუცია.<sup>5</sup> რესტიტუციის მიზნით, სხვა რელიგიური გაერთიანებებიც იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას 2014 წლიდან.

მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სხვა რელიგიურ გაერთიანებებს არ დაბრუნებიათ საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების უდიდესი ნაწილი. მათი ისტორიული ქონების ერთი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია, მეორე კი, საქართველოს საპატრიარქოს ხელში აღმოჩნდა, რომელიც ამ დრომდე უარს ამბობს სხვა რელიგიური გაერთიანებების ისტორიული ქონების დაბრუნებაზე.

არადომინანტმა რელიგიურმა გაერთიანებებმა ჰქონდეთ კერძო დაიბრუნეს ისტორიულად მათი კუთვნილი მოქმედი და უმოქმედო საკულტო ნაგებობები, სასაფლაოები, რელიგიური სასწავლო დაწესებულებები, საკულტო ნაგებობების ნანგრევები და მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განთავსებული.

საქართველოში ქონების დაბრუნების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია რელიგიური გაერთიანებებისთვის, რომლებიც უმძიმესი რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ და თავიანთი ქონების უდიდესი ნაწილი დაკარგეს.

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოში რელიგიური გაერთიანებების ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ევროპული ქვეყნების გამოცდილებას რესტიტუციის პოლიტიკის შესახებ, საქართველოში რესტიტუციის პოლიტიკის გასატარებლად შესაძლო გზებს და სახელმწიფოს სთავაზობს შესაბამის რეკომენდაციებს.

---

5 TDI, EMC, რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა, 2014-2015 წლების პრაქტიკის ანალიზი. TDI, EMC, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა (2013 და 2014 წლის დასაწყისის მდგომარეობისა და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკის მიმხილვა).

## 2. საქართველოს ერევანის პროტოკოლის ნებილობა

1990 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო N183 დადგენილება, რომლის თანახმად „საქართველოს საპატიორქოს ყველა საკულტო ნაგებობა, უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა“.<sup>6</sup>

2002 წელს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, „საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები (მოქმედი და არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული“, საპატიორქოს საკუთრებად გამოცხადდა. ანალოგიური ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოს არცერთ სხვა რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებით არ გადაუდგამს. სახელმწიფოს არ მიუღია კანონი რესტიტუციის შესახებ. არადომინანტ რელიგიურ გაერთიანებებს არ დაუბრუნდათ ნაგებობები, რომლებზეც საპატიორქოს პრეტენზია ჰქონდა გაცხადებული. ასევე, მათ ვერ დაიბრუნეს ის ნაგებობებიც, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფოს ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ხელისუფლების დღის წესრიგში რამდენჯერმე დადგა რელიგიური ქონების ანაზღაურების საკითხი. პირველად, 2003 წელს, მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციური შეთანხმების გაფორმების შემდეგ შეიქმნა კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველმყოფი კომისია.<sup>7</sup> მას უნდა შეესწავლა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი. რეალურად, სამთავრობო კომისიის შექმნას შედეგი არ მოჰყოლია. კომისიის ფარგლებში მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიყენებული ზიანი არ დათვლილა. 2002 წლიდან სახელმწიფო საბიუკეტო თანხებს დოტაციური წესით გადასცემს საპატიორქოს. კომისიის მუშაობა არ წარმართულა და 2012 წელს იგი გაუქმდა.

2012 წელს, კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განხილვის მიზნით, შეიქმნა ახალი სამთავრობო კომისია.<sup>8</sup> მის ფარგლებში ჩამოყალიბდა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, მათ შორის, საკულტო ნაგებობების წარმოშობის დადგენისა და ქონებრივი საკითხებისათვის. სამთავრობო კომისია ამ დრომდე არსებობს, თუმცა, მისი შედეგები ხილული არ არის.

6 საქართველოს უზნაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება №-ბს-470-408-კ-04, 10 ნოემბერი, 2004.

7 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველმყოფ კომისიათა შექმნის შესახებ“, 7 იანვარი, 2003.

8 საქართველოს მთავრობის დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“, 21 ოქტომბერი, 2012.

2013 წელს, სახელმწიფომ რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისია შექმნა.<sup>9</sup> მის ფარგლებში უნდა შესწავლი-ლიკონ რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებისა და საკუთრების საკითხი, მომზადებულიკონ რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებები.

კომისიამ შეიმუშავა დადგენილება საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.<sup>10</sup> მასში კომისია აღნიშნავდა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე აცხადებს მზადყოფნას, რელიგიურ გაერთიანებებს ნაწილობრივ აუნაზღაუროს საბჭოთა რეჟიმის დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანი. დადგენილებაში ასევე ხაზგასმულია, რომ ანაზღაურება სიმბოლური ხასიათისაა, რადგან უცნობია ზიანის ზუსტი ოდენობა. ამასთან, სახელმწიფო მიიჩნევს, რომ არსებულ რელიგიურ გაერთიანებებს არ აქვთ სამართლებრივი კავშირი საბჭოთა რეჟიმის დროს დაზარალებულ რელიგიურ გაერთიანებებთან, ამიტომ, ზიანის ანაზღაურების ობიექტები არიან ის რელიგიური გაერთიანებები, რომელთაც გააჩნიათ აღმსარებლობითი მემკვიდრეობა საბჭოთა რეჟიმის დროს დაზარალებულ რელიგიურ თემებთან.<sup>11</sup>

დადგენილებამ, ზიანის ანაზღაურების წესი საჭარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ ოთხ რელიგიურ ჯგუფზე გაავრცელა: ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომებთა სამოციქულო რელიგიურ გაერთიანებებზე.

დადგენილების თანახმად, თუ ჩამოთვლილ ჰაუფებში ერთი აღმსარებლობის რამდენიმე რელიგიური ორგანიზაცია იყო დარეგისტრირებული და მათ სურდათ ანაზღაურების მიღება, ისინი ვალდებული იყვნენ, 2014 წლის 10 ნოემბრამდე გაერთიანებულიყვნენ, ან შექმნათ ერთიანი წარმომადგენლობითი საბჭო, ანაც წერილობით დაედასტურებინათ რომელიმე ორგანიზაციის უფლებამოსილება ზიანის მოთხოვნაზე. სხვა შემთხვევაში, ისინი დაკარგავდნენ ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას.

2014 წლიდან, ამ რელიგიურ გაერთიანებებს თანხები ყოველწლიურად ერიცხებათ. თანხის წლიურ ჯამურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო კი ამ თანხას ანაწილებს სომებთა სამოციქულო ქრისტიანულ თემზე, მუსლიმ თემზე, იუდეურსა და რომაულ-კათოლიკურ თემზე.<sup>12</sup>

გაუგებარია, რა პრინციპით შეირჩა სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის მიმღები ორგანიზაციები (თემები). მათ გარდა, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს, მასშტაბური ზიანი მიადგა სა-

9 საქართველოს მთავრობის დადგენილება, „რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“, 29 ნოემბერი, 2013.

10 საქართველოს მთავრობის დადგენილება, „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე, 27 იანვარი, 2014.

11 იქვე: მ. 2.2.

12 „რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის (ქ.117) დადგენილება.

ქართველოს სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც (იეზიდი თემი, ლუთერული ეკლესია, სახარების რწმენის ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სხვა პროტესტანტული დენომინაციები და ა.შ.).<sup>13</sup> თუმცა, სახელმწიფოს ისინი არ განუხილავს ზიანის ანაზღაურების მიმღებად.

ამასთან, ოთხი არადომინანტი რელიგიური ჯგუფის დაფინანსება ჰქონის საქართველოს საპატ-რიარქოს საბიუჭებო დაფინანსების წესს. ამ შემთხვევაშიც არ არის დათვლილი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ მიყენებული ზიანის მოცულობა. ამ ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების პრაქტიკაც თავისი არსით დოტაციაა და არა ზიანის ანაზღაურება.

2014 წლის 14 მარტს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება დასახელებული რელიგიური ორგანიზაციებისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე.<sup>14</sup> ვინაიდან „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი უკვე მიღებული იყო, კომპენსაციისთვის თანხა გამოიყო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. შემდეგ წლებში თანხის გამოყოფა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან<sup>15</sup>:

2014წ. – 1,750,000 ლარი  
2015წ. – 4,200,000 ლარი  
2016წ. – 4,500.000 ლარი  
2017წ. – 4,500,000 ლარი  
2018წ. – 4,500,000 ლარი  
2019წ. – 4,500,000 ლარი<sup>16</sup>

ჟამურად გამოყოფილ თანხას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ანაწილებს ოთხ რელიგიურ კონფესიაზე. კონფესიებში შემავალი ორგანიზაციები კი მას თავად ინაწილებენ. თუმცა გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ანაწილებს სააგენტო იმ პირობებში, როცა არ გამოვ-ვლეულა რელიგიური ორგანიზაციებისთვის მიყენებული ზიანის პროპრეცია და თითოეული რელიგიური ორგანიზაციის ზიანის მასშტაბი.

აღნიშნული ოთხი რელიგიური თემის დაფინანსება ფარავს ექვს რელიგიურ ორგანიზაციას:

- ▶ **რომაულ-კათოლიკური** (სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“; სსიპ „საქართველოს ასირიულ-ქალდეური კათოლიკური თემი“; სსიპ „აღმოსავლეთ ევროპის სომები კათოლიკეთა ორდინარიატი“);
- ▶ **ისლამური** (სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო“);
- ▶ **იუდეური** (სსიპ „საქართველოს ებრაელთა კავშირი“);
- ▶ **სომეხთა სამოციქულო აღმსარებლობა** (სსიპ „სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია“)<sup>17</sup>.

13 რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა - 2014-2015.

14 საქართველოს მთავრობის განკარგულება, „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, №437, 13 მარტი, 2014.

15 რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა - 2014-2015 წლების პრაქტიკის ანალიზი, TDI, EMC.

16 რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში, თბილისი, 2018.

17 იქვე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კონფესიების ფარგლებში არსებობენ სხვა რელიგიური ორგანიზაციებიც, სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის წესი მათზე არ ვრცელდება.

შიიტური თემის წარმომადგენელმა ორგანიზაციამ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესმა სასულიერო სამმართველომ, 2014 წლის 4 ნოემბერს სააგენტოს აცნობა, რომ თანახმა იყო, მონაწილეობა მიეღო წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობით საბჭოს დაფინანსება გადაეცა მისი მონაწილეობის გარეშე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესმა სასულიერო სამმართველომ“ მიმართა საერთო სასამართლოს. საბოლოოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.<sup>18</sup> საკასაციო პალატამ მოცემულ საქმეზე განმარტა, რომ მოსარჩელე თავიდანვე აკმაყოფილებდა მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს. მას უპირობოდ შეეძლო ყოფილიყო ბენეფიციარი კომპენსაციის მისაღებად. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბენეფიციარუნარიანობა წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნასა ან ერთ სიპ-ად ჩამოყალიბებაზე არ იყო დამოკიდებული.

2016 წლის მაისში სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესმა სასულიერო სამმართველომ საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართა და გაასაჩივრა მთავრობის დადგენილების ის ნორმები, რომლებიც რელიგიური გაერთიანებებისთვის დაფინანსების გამოყოფისა და გადაცემის წესს ადგენს.<sup>19</sup> მოსარჩელე დავობდა, რომ ანაზღაურების მისაღებად, შიიტებისა და სუნიტების იძულება გაერთიანდნენ ერთ იურიდიულ პირად ან წარმომადგენლობით საბჭოდ, ასევე ამ წესის გავრცელება მხოლოდ დადგენილების მიღებამდე რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე კონსტიტუციით გარანტირებულ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, გაერთიანების თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებს ეწინააღმდეგება. 2017 წლის 15 მარტს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო<sup>20</sup> იმ ნაწილში, რომელიც დაფინანსების შესაძლებლობას აძლევს მხოლოდ დადგენილების მიღებამდე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს.<sup>21</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განიხილა საქმე, მაგრამ 2020 წლის იანვრის მდგომარეობით, გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული.<sup>22</sup>

2014 წელს, შეიქმნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი და ფინანსურ საკითხთა შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია.<sup>23</sup> 2015-2019 წლებში, სარეკომენდაციო კომისიამ ჭამში 27 სხდომა გამართა და 1 202 საკითხი განიხილა.<sup>24</sup> როგორც წესი, ის განიხილავს რელიგიური გაერთიანებებისთვის საკულტო ნაგებობის გადაცემისა და მშენებლობის ნებართვების გაცემის საკითხებს. რელიგიის საკითხ-

18 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საკასაციო საჩივარი, საქმე №ას-597-556-2017, 3 ნოემბერი 2017წ.

19 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, კონსტიტუციური სარჩელი N750.

20 საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 მარტის საოქმო ჩანაწერი, N2/5/750.

21 სასამართლო განიხილავს დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (თანასწორობა) მიმართებით.

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, N750, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

23 რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის N6/1 ბრძანება.

24 ის. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2015,2016-17 და 2018-2019 წლების ანგარიშები.

თა სახელმწიფო სააგენტოსა და მის კომისიას არ გააჩნიათ სახელმწიფო ქონების განვარგვის უფლებამოსილება ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩარევის სამართლებრივი საფუძველი. მათ მიერ მიღებული აქტები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებია, რომელთა გათვალისწინებაც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამასთან ერთად, არ არის ნათელი, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით გასცემს კომისია დადებით ან უარყოფით რეკომენდაციას საკულტო ნაგებობების გადაცემის თაობაზე.

რელიგიური გაერთიანებებისთვის საკულტო ნაგებობების გადაცემის საკითხი ზიანის ანაზღაურების ჭრილშია შეფასებული რელიგიის საკითხთა სააგენტოს მიერ, როგორც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს კონფესიებისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნება.<sup>25</sup> თუმცა, რეალურად, ყველა ის ტრანზისცია, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო არადომინანტ რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით „დაბრუნებას“ უწოდებს, მხოლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემას გულისხმობს. სახელმწიფოს მიერ ამ ტერმინის გამოყენებას ბევრი შეცდომაში შეჰვავს. მაგალითად, სააგენტო თავის ანგარიშებში უთითებს, რომ მუსლიმ თემს 2014-2017 წლებში დაუბრუნდა 150 მეჩეთი<sup>26</sup>, რაც ცალსახად არასწორია, რადგან მათ საკუთრების უფლებით არაფერი მიუღიათ.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში სხვადასხვა დროს ოთხი სახელმწიფო კომისია შეიქმნა რესტიტუციის და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა არცერთ მათგანს რეალური და სამართლიანი შედეგისთვის არ მიუღწევია.

საქართველოში, დღემდე არ გატარებულა რესტიტუციის პოლიტიკა როგორც რელიგიური გაერთიანებების, ისევე სხვა ჯგუფების ან/და პირების მიმართ. სახელმწიფო გვერდს უვლის რეალურ პრობლემებს. ამას მოწმობს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობაც, რომელსაც დღემდე არ უმსჯელია არცერთი ე.წ. სადავო ნაგებობის დაბრუნების საკითხზე. სააგენტო, როგორც წესი, განიხილავს მხოლოდ არადომინანტი რელიგიური გაერთიანებების არაპრობლემური ნაგებობების (რომელზეც მხოლოდ ერთი რელიგიური გაერთიანება აცხადებს პრეტენზიას) დაბრუნების საკითხს და ისიც, მხოლოდ სარგებლობაში გადაცემის წესით.

რესტიტუციის კუთხით, სახელმწიფოს უმოქმედობას და არათანმიმდევრულ პოლიტიკას სხვა გვერდითი ნეგატიური შედეგებიც აქვს. მათ შორისაა რელიგიურ გაერთიანებებს შორის დაძაბულობის მატება ან/და მისი შესაძლებლობის გაჩენა. ამის ნათელი მაგალითია უკანასკნელ წლებში დაძაბულობის არაერთი კერის გაჩენა. მათ შორის, თბილისში მდებარე „თანდოიანცის“ ისტორიულად სომხური ეკლესიის, სოფელ მოხეს მეჩეთის და სხვა შემთხვევები (იხ. თავი 3).

აღსანიშნავია, რომ საკულტო ნაგებობების დიდი ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ქონება ისტორიულ და კონფესიურ მესაკუთრეს არ უბრუნდება, ის განადგურების პირას არის, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოვლა-პატრონობის კანონისმიერი ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია. ის ნაგებობები კი, რომლებიც საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა, არის პირველადი სახის დაკარგვის რისკის ქვეშ, რამდენადაც

25 იქვე.

26 რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის 2016-2017 წლების ანგარიში.

შენობის ისტორიული და კონფესიური წარმომავლობის დამადასტურებელი სიმბოლიკის გა-  
ნადგურებამ მასშტაბური ხასიათი მიიღო.

მიმოხილული პროცესი აჩვენებს, რომ სახელმწიფოს არცერთხელ არ უცდია შეემუშავებინა  
სათანადო რესტიტუციის პოლიტიკა, რომელიც რეალურად დაისახავდა მიზნად საბჭოთა კავ-  
შირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამრიგად, კონკრეტული რელიგიური გაერთი-  
ანებების დაფინანსებას იმ ფორმით, რა ფორმითაც ის დღეს გვაქვს, არაფერი აქვს საერთო  
მიყენებული ზიანის კომპენსაციასთან. ამასთან ერთად, ის სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური  
გაერთიანებების გაკონტროლების რისკებს აჩენს.

რესტიტუციის პოლიტიკის არარსებობის გამო, დღემდე:

- ▶ სახელმწიფოს არ დაუთვლია/აღურიცხავს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს რელი-  
გიური გაერთიანებებისთვის მიყენებული ზიანი;
- ▶ არ შემუშავებულა სახელმწიფო მიდგომები ზიანის ანაზღაურებასა და სათემო ქონების დაბ-  
რუნებასთან დაკავშირებით;
- ▶ არ არსებობს სამართლებრივი რეგულირებები, რომელიც რელიგიურ გაერთიანებას შესაძ-  
ლებლობას მისცემს, მოითხოვოს ჩამორთმეული რელიგიური საკუთრების უკან დაბრუნება  
ან/და მისი კომპენსაცია;
- ▶ სადავოდ რჩება არაერთი საკულტო ნაგებობა, რომელზეც მესაკუთრეობის პრეტენზიას ერ-  
თხე მეტი რელიგიური გაერთიანება აცხადებს;
- ▶ სახელმწიფოს სახსრები, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებს მიემართება, იხარჯება დო-  
ტაციური წესით;
- ▶ რესტიტუციის პოლიტიკის არარსებობა არათანაბარ პირობებში ამყოფებს რელიგიურ გაერ-  
თიანებებს, დომინანტ რელიგიურ გაერთიანებასთან შედარებით. დღემდე, საქართველოს  
საპატრიიარქო საკუთრებაში იღებს როგორც თავის ისტორიულ, ისე სხვა რელიგიური გაერ-  
თიანებების რელიგიურ ქონებას და ახალ, სახელმწიფო ქონებასაც.

საქართველოსგან განსხვავებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რესტიტუციის პოლიტიკის  
გატარება საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო. მათ უმრავლესობაში ეს პროცესი უკვე  
10 წელზე მეტია დასრულებულია.

## 3. ერებულის რელიგიური პატიონები და ერებული ერთეული

საბჭოთა რელიგიური პირობებში რელიგიური კგუფებისთვის ჩამორთმეული ქონების დღევანდელი მდგომარეობა შესაძლოა დაკგუფდეს შემდეგნაირად:

- ▶ სახელმწიფო საკუთრებაშია და ვერ იყენებს რელიგიური კგუფი / უფუნქციოა;
- ▶ სახელმწიფო საკუთრებაშია და რელიგიური კგუფის მფლობელობაში;
- ▶ სხვა რელიგიური ინსტიტუტის – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს საკუთრებაშია;
- ▶ ქონებას დანიშნულების ტიპი აქვს შეცვლილი და კერძო პირ(ებ)ის ან სახელმწიფოს საკუთრებაშია.

ასევე შეიძლება ჩამორთმეული რელიგიური ქონება დაიყოს ორ ტიპად:

- ▶ რელიგიური ქონება, რომელიც არ დანგრეულა/განადგურებულა;
- ▶ რელიგიური ქონება, რომელიც დანგრეული და განადგურებულია.

ქვემოთ წარმოდგენილია რელიგიური კგუფებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რელიგიური დროს ჩამორთმეული საერთო ქონების შესახებ მიმოხილვა. წარმოდგენილი მასალა განკუთვნილია რელიგიური კგუფების დაკარგული ქონების ვიზუალიზაციისთვის. პოლიტიკის დოკუმენტი არ ისახავს მიზნად ამ ქონების ძირეულ კვლევას. რელიგიური თემების ჩამორთმეული და დაუბრუნებელი ქონების ნაწილის შესახებ ინფორმაცია ვრცლად იხილეთ **დანართში**.

### ევანგელურ-ლუთერული ეკლესია

გერმანელები საქართველოში 1817-1818 წლებიდან გამოჩნდნენ. მალევე მათ დააარსეს გერმანული დასახლებები და ევანგელურ-ლუთერული საკულტო ნაგებობები.<sup>27</sup> 1819 წლის ბოლოსთვის საქართველოში რამდენიმე დასახლება შექმნეს: მარიენფელდი<sup>28</sup>, ნოი-ტიფლი-სი<sup>29</sup>, ალექსანდრესდორფი<sup>30</sup>, ჰეტერსდორფი<sup>31</sup>, ელიზაბეტალი<sup>32</sup>, ვატარინენფელდი<sup>33</sup>. შემდეგ წლებში, საქართველოში სხვა გერმანული დასახლებებიც გაჩნდა.

გერმანელებმა დასახლებისთანავე დაიწყეს ეკლესიებისა და დაწყებითი სკოლების შენება. მაგალითად, ნოი-ტიფლისში 1834 წლიდან მცირე ლუთერული ტაძარი ფუნქციონირებდა. 1894 წელს კი მის სიახლოვეს დაიწყო დიდი ლუთერული ტაძრის მშენებლობა, რომელიც 1897 წელს დასრულდა.

27 ევანგელურ-ლუთერული ეკლესიები საქართველოში, ნესტან თათარაშვილი, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის 200 წლის იუბილე, გვ. 82.

28 სოფ. სართიქალა, გარდაბნის მუნიციპალიტეტი.

29 აღმამწენებლის გამზირი და მიმდებარე ქუჩები, თბილისი.

30 წერეთლის გამზ., სამტრედიის ქ. და მიმდებარე ქუჩები, თბილისი.

31 სოფ. სართიქალის მახლიტალად, გარდაბნის მუნიციპალიტეტი.

32 სოფ. ასურეთი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.

33 ქ. ბოლნისი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ლუთერული სამრევლოები დაიშალა. გერმანელი კოლონისტების მიერ აშენებული ეკლესიები დაანგრიეს ან სხვადასხვა ფუნქციის მქონე შენობებად გადააკეთეს. 1941 წელს გერმანელები საქართველოდან ყაზახეთში გადაასახლეს. იმ დროისთვის საქართველოში 22 გერმანული დასახლება არსებობდა. რეპრესიების შემდეგ, 50-იან წლებში, დაბრუნებული გერმანელების მცირე ჯგუფმა კიდევ ერთი დასახლება დააარსა გარდაბნის მახლობლად – კოლონია „ნოი ბოტანიკა“,<sup>34</sup> თუმცა 1970-იანი წლების ბოლოს მათი დიდი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა. დღეს, „ევანგელურ-ლუთერული შერიგების“ ცნობით, მრევლის რაოდენობა დაახლოებით 500 ადამიანია, მათი უმრავლესობა თბილისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში შემორჩენილია რამდენიმე შენობა ან მისი ნანგრევი, რომელიც კონფესიურად ევანგელურ-ლუთერული წარმოშობისაა და საქართველოში მცხოვრები გერმანელების საერთო საკუთრებას წარმოადგენდა საბჭოთა ოკუპაციამდე. ევანგელურ-ლუთერული ეკლესია საკუთარი ისტორიული ქონების დაბრუნებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული ითხოვს. ეკლესიის ცნობით, 2015 წელს სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიაწოდეს თავიანთი ისტორიული ძეგლების ნუსხა და სახელმწიფოს მათი დაბრუნების ან კომპენსაციის მიღების თხოვნით მიმართეს, თუმცა წერილზე პასუხი არ მიუღიათ. ევანგელურ-ლუთერული ეკლესია ამჟამად ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას და/ან ზიანის კომპენსაციას ითხოვს. ეკლესიები, მათი ნანგრევები ან მიწა, რომელზეც ეს ნაგებობები მდებარეობდა, შემორჩენილია შვიდ ადგილას.

## სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესია

სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ საბჭოთა პერიოდში არაერთი საკულტო ნაგებობა დაკარგა, რომელთა ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი სხვადასხვა მესაკუთრის, მათ შორის, სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა. ამათგან, უკვე მრავალი წელია, ყველაზე მწვავედ დგას 10-მდე საკულტო ნაგებობის დაბრუნების საკითხი. საკულტო ნაგებობების დიდ ნაწილს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. ამჟამად ისინი სახელმწიფოს საკუთრებაშია. ხშირად მათ ე.წ. სადავო ნაგებობებად მოიხსენებენ, რადგან ბოლო წლებში მათზე საკუთრების უფლების მოპოვების სურვილი საქართველოს საპატრიარქომაც განაცხადა. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ ისტორიულ სომხურ ეკლესიაზე 2017 წელს მოახერხა კიდეც საკუთრების უფლების მოპოვება<sup>35</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპატრიარქოს, ფორმალურად, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივ ურთიერთობებში ჩარევის არავითარი მექანიზმი არ აქვს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის წარმომადგენელთა განცხადებით, მთავარ დაბრკოლებას სომხური ეკლესიების საკუთრებაში მიღების პროცესში სწორედ საქართველოს საპატრიარქო ქმნის<sup>36</sup>.

34 ქართულ-გერმანული არქივი, გერმანელი კოლონისტების არქიტექტურა საქართველოში, <http://german-georgian.archive.ge/ka/blog/15>

35 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „ხელისუფლებამ თანდოიანციის ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს გადასცა“, 22 დეკემბერი, 2017.

36 იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), „რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროებების კვლევა საქართველოში“, 2014.

სომხურ სადავო საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებით, 2013 წელს შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც არსებულ მდგომარეობაში გარკვეული სიცხადე უნდა შეეტანა.<sup>37</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით, 2013 წლის 28 ივნისის განკარგულებაში ცვლილებები შევიდა და კომისიას ეკლესიების მომიჯნავედ არსებულ ქონებაზე ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებისა და ექსპერტიზის დამკვეთი უწყების განსაზღვრის უფლებამოსილება მიენიჭა. 2015 წლის 25 ივნისს, 2013 წლის 28 ივნისის განკარგულება, რომლის საფუძველზეც კომისია იყო შექმნილი, ძალადაკარგულად გამოცხადდა ისე, რომ კომისიას არავითარი შედეგისთვის არ მიუღწევია.

აღსანიშნავია, რომ სომხური საკულტო ნაგებობების ამჟამინდელი მდგომარეობა საგანგაშოა. მაგალითად, თითქმის ნანგრევებადაა ქცეული ავლაბარში მდებარე ეკლესია „შამხორეცოც სურბ ასტვაწაწინი“. თბილისში, ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე „მუღნეცოც სურბ გევორგი“ 2009 წელს ჩამოიქცა. ასევე, ძველ თბილისში „სურბ ნშანის ეკლესიას“ 2002 წელს ხანძარი გაუჩნდა და დაზიანდა, ხოლო 2012 წელს გაურკვეველ ვითარებაში კვლავ გაჩენილმა ხანძარმა გუმბათის საყრდენი სვეტი ჩამოაქცია.

ამასთანავე, შეიმჩნევა სომხური წარმომავლობის ეკლესიებში სომხური კულტურის დამადასტურებელი ნიშნების წაშლის მცდელობები. 2008 წელს საქართველოს საპატრიარქოს მღვდელმსახურმა თბილისში მდებარე ერთ-ერთი ე.წ. სადავო ტაძრის – „ნორაშენის“ ეზოში დაკრძალული სომები პირების საფლავის ქვები გადაადგილა, ხოლო უცნობმა პირებმა ქართული წარერების მქონე საფლავის ქვა მიიტანეს და ეკლესიის ეზოში განათავსეს. დანგრეულია ტაძრის საკურთხეველი.

საქართველოს მთავრობა ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის შესაბამისად წარდგენილ მე-2 ანგარიშში აცხადებდა, რომ 2011 წელს დასრულდა საპროექტო დოკუმენტების მომზადება თბილისში მდებარე სომხური ტაძრების, „მუღნისის“ (იგივე „მოღნეცოც სურბ გევორგი“), „სურბ ნშანისა“ და „ნორაშენის“ აღდგენისათვის<sup>38</sup>. სომებთა სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელთა თქმით, სახელმწიფომ გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარა მხოლოდ თბილისში მდებარე „ნორაშენის“ ტაძრს. საქართველოს სახელმწიფოს ჩარჩო-კონვენციის შესრულების მე-3 ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით დასრულდა „ნორაშენის ღვთისმშობლის ტაძრის“ რეაბილიტაციის ეტაპი<sup>39</sup>.

ცალკე უნდა აღინიშნოს თბილისში, აღმაშენებლის №38-ში მდებარე „თანდოიანცის ეკლესია“. საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა 1924 წელს სომხური ეკლესია დახურა. მას შემდეგ შენობა სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. ბოლო პერიოდში კი მნიშვნელოვნად დაზიანებული ირიცხებოდა სახელმწიფო ბალანსზე. 2017 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ

37 საქართველოს მთავრობის განკარგულება №671, საქართველოს მთავრობის განკარგულება, „მუღნისის, სურბ მინასისა და სურბ ნიშანის ეკლესიების მომიჯნავედ კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირდული საკითხების შემსწმებელი უწყებათაშორის კომისიის შექმნის შესახებ“, 28 ივნისი, 2013.

38 საქართველოს მე-2 პერიოდული ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის 25 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ევროპის საბჭო, 2012. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008b5b5>

39 საქართველოს მე-3 პერიოდული ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის 25 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ევროპის საბჭო, 2017. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://rm.coe.int/third-state-report-georgia-in-georgian-/168075fc5d>

ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია საქართველოს საპატიორქოს გადასცა ისე, რომ არ შეუსწავლია ტაძრის ისტორიული წარმომავლობა. მას შემდეგ, მართლმადიდებელმა ეკლესიამ ტერიტორიაზე გათხრები აწარმოა, რის შედეგადაც დაზიანდა ნაგებობის ისტორიული და კულტურული მახასიათებლები<sup>40</sup>. თანდოიანცის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არ აქვს მინიჭებული დამოუკიდებლად. თუმცა, ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს აღამაშენებელის №38-ში მდებარე უძრავ ნივთს, რომლის საკადასტრო ერთეულშიც მდებარეობს საკულტო ნაგებობა. შესაბამისად, მასზე ვრცელდება ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. „თანდოიანცის“ ეკლესის სახელმწიფო საკუთრებიდან საპატიორქოს საკუთრებაში გადაცემა კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოს არათანმიმდევრულ, დისკრიმინაციულ და გულგრილ პოლიტიკაზე რესტიტუციის საკითხის, არადომინანტი რელიგიური ჯგუფების საკუთრების უფლებისა და ისტორიული წარსულის მიმართ.

## კათოლიკური ეკლესია

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მნიშვნელოვანი რელიგიური ქონება დაკარგა კათოლიკური ეკლესიამაც. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩამორთმეული ქონების დიდი ნარილის დაბრუნება კვლავ ვერ მოხერხდა. კათოლიკური ეკლესია საქართველოში შვიდი ტაძრის დაბრუნებას ითხოვს გორში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდესა და ბუზმარეთში, ქუთაისში და ბათუმში. ეს საკულტო ნაგებობები დღეის მდგომარეობით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის საკუთრებაშია. შვიდივე ნაგებობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

აღსანიშნავია, რომ 2001 წელს ლათინ კათოლიკეთა ეკლესიამ კერძო სამართლის იურიდიული პირის, კავშირ „სავარდის“ სახელით, მართლმადიდებელი ეკლესის საკუთრებაში გადაცემული ქუთაისის კათოლიკური ეკლესის სასამართლო წარმოების გზით დაბრუნება სცადა. თუმცა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული ეკლესის შენობა მართლმადიდებლურ ტაძრად მიიჩნია, რადგან ამ დროისთვის ნაგებობით მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობდა. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ ქუთაისის კათოლიკური ეკლესია 1939 წლამდე კათოლიკეთა თემის რელიგიური ქონება იყო.

მნიშვნელოვანია, რომ კავშირ „სავარდის“ პირდაპირი და ექსკლუზიური კავშირი საქართველოში წარსულში მოქმედ კათოლიკე გაერთიანებებთან აღიარებული იყო რომის წმინდა საყდრის მიერ და დასტურდებოდა ამიერკავკასიაში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო აღმინისტრატორის წერილით. ამის მიუხედავად, უზენაესმა სასამართლომ მოსარჩევე კათოლიკე გაერთიანების სამართალმემკვიდრედ არ ჩათვალა. ნიშანდობლივია, რომ უზენაესი სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილებით, არამართლზომიერად ჩამორთმეული ქონება მესამე მხარეს გადაეცა, რაც პრობლემის აღმოფხვრის პერსპექტივებს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

მართლმადიდებელი ეკლესია ცვლის კათოლიკური ეკლესიების იერსახეს, რაც სახელმწიფოს მხრიდან არ კონტროლდება, მიუხედავად იმისა, რომ საკულტო ნაგებობები კულტურული მემ-

40 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „ხელისუფლებამ თანდოიანცის ეკლესია საქართველოს საპატიორქოს გადასცა“, 22 დეკემბერი, 2017.

კვიდრეობის ძეგლებად არის აღიარებული. მაგალითად, 2012 წელს, სოფელ უდეს კათოლიკურ ეკლესიაში ადგილობრივმა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა ტაძრის გუმბათის სარემონტო სამუშაოები თვითნებურად ჩაატარეს. ამასთან ერთად, აღნიშნული საკულტო ნაგებობების ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად სახელმწიფო არანაირ ზომებს არ იღებს. მაგალითად, ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში ფრესკების ნაწილი დაზიანებულია, კედლისა და სვეტების მოხატულობა კი მოშლილი. კათოლიკე ეკლესია მის კონსერვაციასა და ისტორიული იერსახის შენარჩუნებას ითხოვს, თუმცა, უშედეგოდ.

## იუდაური თემი

სხვა რელიგიური გაერთიანებების მსგავსად, იუდაურმა თემმა საბჭოთა რეჟიმის პირობებში დაკარგა რელიგიური ქონება. ამ დრომდე, მათი საკუთრებაში დაბრუნება არ მომხდარა სახელმწიფოს მიერ. იუდაური თემის საკულტო ნაგებობები, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს დანგრევისგან გადაურჩა, სახელმწიფო საკუთრებაშია.

თბილისის დიდი სინაგოგა სახელმწიფოს საკუთრებაშია. სისიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი მის მოსარგებლედ არის დარეგისტრირებული. ასეთივე სამართლებრივ მოცემულობაშია გორის, ახალციხის, ონის, საჩხერის, ბათუმის (ვაჟა-ფშაველას 33), მარტვილის, სენაკის სინაგოგები. სახელმწიფო საკუთრებაშია ბათუმის (9 მარტის ქ. 16) სინაგოგაც, რომელიც წლების განმავლობაში მძიმედ იყო დაზიანებული. 2015 წლის თებერვალში კი, მისი ნაწილი ჩამოინგრა. 2015 წლის ივლისში ის სისიპ ებრაელთა კავშირს გადაეცა სარგებლობის უფლებით. ახალციხის მეორე სინაგოგა კი (გურამიშვილის ქუჩაზე) საბჭოთა პერიოდში, 1953 წელს, გაუქმდა და მასში ჭერ ბიბლიოთეკა მოეწყო, შემდეგ კი, სპორტული დარბაზი. დღესდღეობით ნაგებობა დაზიანებული და უმოქმედოა.

იუდაური თემის რელიგიური ქონება კერძო პირების მფლობელობაშიცაა. მაგალითად, თბილისში მდებარე სინაგოგას დანიშნულება აქვს შეცვლილი და დღესდღეობით იქ სამეფო უბნის თეატრი ფუნქციონირებს. 1988 წლიდან შენობა სახელმწიფო დრამატულ თეატრს ჰქონდა გადაცემული ფლობისა და სარგებლობის უფლებით. 1995 წელს ის ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა საკუთრებით. 2001 წელს, საქართველოს უზნენაში სასამართლოს გადაწყვეტილებით, ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას აღნიშნული შენობა ნაწილობრივი თანასაკუთრების უფლებით გადაეცა. თუმცა, ებრაელთა რელიგიურმა საზოგადოებამ იგი თეატრალურ დასს გაურკვეველი ვადით დაუთმო<sup>41</sup>. ამ გადაწყვეტილებას არ იჩიარებს ებრაული თემის დიდი ნაწილი და შენობის დაბრუნებას ითხოვს.

იუდაურ თემს არ დაბრუნებია საკუთრებაში ებრაული მუზეუმის შენობაც, რომელიც წარსულში სინაგოგა იყო (თბილისი, ანტონ კათალიკოსის ქ. №3). მასში განთავსებულია ებრაელთა ისტორიის მუზეუმი და არის სახელმწიფო ბალანსზე.

41 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროების კვლევა საქართველოში, თბილისი, 2014, გვ. 37.

## მუსლიმი თემი

მუსლიმ თემს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მრავალი საკულტო ნაგებობა ჩამოერთვა. მათგან ნაწილი ამ დროისთვის დანგრეულია ან დანიშნულების ტიპი აქვს შეცვლილი. მაგალითად, თბილისში, შაპ-ისმაილის „ცისფერი მეჩეთი“ 1951 წელს დაანგრიეს მეტეხის ძველ ხიდთან ერთად. ის მეჩეთები, რომლებიც დღესაც შემორჩენილია, უმეტესად სახელმწიფო ბალანსზეა.

საბჭოთა ოკუპაციამდე, შიიტურ მეჩეთთან ერთად, თბილისში შვიდი მეჩეთი ფუნქციონირებდა. დღეს, მათგან მხოლოდ სუნიტური, „ჯუმა მეჩეთია“ დარჩენილი (ბოჭანიკური ქ.). მასში სუნიტი და შიიტი მუსლიმები ერთად ლოცულობენ.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2014-2017 წლის ანგარიშების თანახმად, 2014-2015 წლებში სახელმწიფომ მუსლიმ თემს 170 მეჩეთი დაუბრუნა მთელი საქართველოს მასშტაბით<sup>42</sup>. სააგენტოს აღნიშნული შეფასება ცალსახად მცდარია და ფაქტობრივი გარემოებების არასწორ ინტერპრეტაციას ახდენს. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო „გადაცემა/დაბრუნებაში“ გულისხმობს ქონების სარგებლობის და არა საკუთრების უფლებით გადაცემას. ამ პირობებში, რელიგიურ გაერთიანებას ქონების განვარგვა შეზღუდული აქვს (მაგ. მისი რეალიზაცია და რესტავრაცია). ასევე, სახელმწიფოს შეუძლია სარგებლობაში გადაცემული ქონების უკანვე დაბრუნება.

2014 წლიდან მუსლიმური ორგანიზაციისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მეჩეთები არ მოიცავს იმ საკულტო ნაგებობებს, რომლებიც განეკუთვნება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეულ ე. წ. სადავო ნაგებობების სიას.

აღსანიშნავია, რომ მუსლიმი თემისთვის პრობლემას წარმოადგენს იმ საკულტო ნაგებობების მდგომარეობაც, რომლებიც სარგებლობაში არ აქვთ გადაცემული. მათი მდგომარეობა სავალოა მოუვლელობის გამო, რადგან მუსლიმ თემს მათი აღდგენის შესაძლებლობა არ აქვს. ასეთი უფუნქციო მეჩეთების რაოდენობა 20-მდეა.

განსაკუთრებულად საყურადღებოა 2014 წლიდან ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს მეჩეთის ირგვლივ განვითარებული პროცესები. მოხეს მეჩეთი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მესხი მუსლიმების მიერ აშენდა. მიუხედავად იმისა, რომ საკულტო ნაგებობას ისლამური სალოცავებისათვის მახასიათებელი ატრიბუტივა შენარჩუნებული აქვს, მასზე პრეტენზია საქართველოს საპატრიარქომაც განაცხადა. საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელთა თქმით, XVI საუკუნეში ამ ადგილას ქრისტიანული ტაძარი იყო, 1920-იან წლებში ეკლესიების ნგრევისა და მეჩეთების აშენების შემდეგ კი, სადავო შენობის ადგილას მეჩეთის მშენებლობა დაიწყო. საპატრიარქოს მეორე ვერსიით კი, მეჩეთი ეკლესიის ქვებითაა აგებული. აღსანიშნავია, რომ საპატრიარქოს არ წარუდგენია ისტორიული ან/და საექსპერტო დასკვნა, რომელიც მათ ვარაუდს გაამყარებდა, თუმცა, მეჩეთის შენობა, სწორედ მათი გაცხადებული პრეტენზიის საფუძველზე, ისტორიულ მესაკუთრეს არ გადაეცა. მეჩეთი დღეისათვის სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ბალანსზეა და შესულია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში, როგორც „სადავო ნაგებობა“.

42 რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში, თბილისი, 2018.

## 4. რესტიტუციის პრინციპების სხვა ქვეყნების გამოცდილებები

რესტიტუცია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, რეპარაციის აქტია. რესტიტუციის პოლიტიკის გატარებისას რესტიტუციის განმახორციელებელი არ იგივდება ზიანის მიმყენებელთან, სამართალდამრღვევთან. საქართველოს შემთხვევაში, რესტიტუციის მექანიზმი იძლევა საშუალებას, ზიანი ანაზღაურდეს ისე, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეობის ტვირთი საქართველომ არ იკისროს.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს, ადამიანების და სხვადასხვა ჯგუფის საკუთრების მასობრივი ხელყოფა მოხდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილში რესტიტუციის პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის-თანავე დაიწყო. ამასთან, ბუნებრივია, მას თან ახლდა პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხების განხილვისას წარმოშობილი პრობლემები.

ევროპის ქვეყნებში რესტიტუციის პოლიტიკა მეტწილად შეეხო იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც სხვადასხვა პერიოდში საბჭოთა, ნაცისტურმა და ფაშისტურმა ტოტალიტარულმა რეჟიმებმა მიაყენა ადამიანებს და მათ გაერთიანებებს. თუმცა, თავად რესტიტუციის შესახებ შემუშავებული მიდგომები არ ყოფილი ერთგვაროვანი. ზოგიერთ შემთხვევაში, რესტიტუციის პოლიტიკამ დაფარა მხოლოდ მიზნობრივი თემი/ჯგუფი (იგივე რელიგიური გაერთიანებები). ზოგ შემთხვევაში კი, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთაც ტოტალიტარული მმართველობის დროს ქონება დაკარგეს. ამასთან, განსხვავებული იყო ზიანის ანაზღაურების წესები.

ქვეყნებში, სადაც რესტიტუციის პოლიტიკა გატარდა, გამიჯნული იყო კერძო საკუთრების (Private Property) და საერთო საკუთრების (Communal Property) დაბრუნების/კომპენსაციის პროცესი. საერთო საკუთრების რესტიტუცია ფარავდა სათემო ქონებას. უმეტეს შემთხვევაში კი რელიგიურ თემებს მიემართებოდა.

„ტერეზინის სახელმძღვანელო პრინციპები“ საერთო საკუთრების ცნებას შემდეგნაირად განმარტავს:

„საკუთრება, რომელსაც ფლობს რელიგიური ან სათემო ორგანიზაცია და მოიცავს შენობა-ნაგებობებს და მიწას, რომელიც გამოყენებულია რელიგიური მიზნით. მაგალითად, სინაგოგები, ეკლესიები[...], და სხვა უძრავი რელიგიური ძეგლები, რომლებიც უნდა იყოს ანაზღაურებული სათანადო წესით და დაცული შეძლალვისგან ან დანიშნულების შეცვლისგან. ასევე, შენობები და მიწა, რომელიც გამოყენებული იყო სათემო მიზნებით. მაგალითად, სკოლები, პოსტიტლები, სოციალური ინსტიტუციები, ახალგაზრდული ბანაკები. ასევე, მოგების მიღების მიზნით განკუთვნილი ქონება“<sup>43</sup>.

ქვემოთ წარმოდგენილია ევროპის ქვეყნების გამოცდილება ქონების რესტიტუციის შესახებ. აირჩა ის ევროპული ქვეყნები, რომლებიც ნაცისტური ან/და საბჭოთა რეჟიმის მიერ იყო ოკუპირებული. ამასთან, მიმოხილვაში, ყურადღება გამახვილებულია საერთო საკუთრების (კომუნალური ქონების) რესტიტუციის პრაქტიკაზე:

43 Guidelines and Best Practices for the Restitution and Compensation of Immovable (Real) Property Confiscated or Otherwise Wrongfully Seized by the Nazis, Fascists and Their Collaborators during the Holocaust (Shoah) Era between 1933-1945, Including the Period of World War II, Terezin Declaration, 2010.

## უნგრეთი

1990 წლიდან, უნგრეთის მოქალაქეებს ან ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს (primary residence) შეეძლოთ მიემართათ სახელმწიფოსთვის, მეორე მსოფლიო ომის და კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამორთმეული კერძო ქონების კომპენსაციისთვის.

1991 წელს დამტკიცდა ეკლესიების ყოფილი უძრავი ქონების საკუთრების რეგულირების აქტი<sup>44</sup> რომლის საფუძველზეც რელიგიურ ორგანიზაციებს შეეძლოთ მიემართათ სახელმწიფოსთვის, რათა რელიგიური საკუთრება მიეღოთ სარგებლობის უფლებით, რომელიც მათ 1946 წლიდან ჩამოერთვათ.

თორმეტმა რელიგიურმა ორგანიზაციამ ჯამში 8373 განცხადებით მიმართა სახელმწიფოს რესტიტუციის თაობაზე. აქედან, 1897 განცხადება დაკმაყოფილდა და დაბრუნდა რელიგიური ქონება. 1953 განცხადება დაკმაყოფილდა და ანაზღაურდა თანხით<sup>45</sup>.

1997 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, რელიგიურ ორგანიზაციებს შეეძლოთ მიემართათ სახელმწიფოსთვის კომპენსაციის მისაღებად. კომპენსაციის სახედ განსაზღვრული იყო ანუიტეტი – ანგარიშსწორების ვაუჩერული სისტემა. დაზარალებული (ყოფილი მესაკუთრე) იღებდა ჩამორთმეული ქონების პროპორციული ღირებულების სახელმწიფო ვაუჩერს, რომლის გამოყენებითაც მას სახელმწიფო საპრივატიზაციო უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა შეეძლო<sup>46</sup>.

მაგალითად, ებრაულმა თემმა და მათმა წარმომადგენლობითმა ქოლგა ორგანიზაციამ, უნგრეთის ებრაელ თემთა გაერთიანებამ<sup>47</sup> წარსულში კუთვნილ ქონებებზე დათმო უფლება სახელმწიფო ობლიგაციის – ანუიტეტის სასარგებლოდ. ორგანიზაცია თვლის, რომ საერთო საკუთრების/კომუნალური ქონების რესტიტუციის პროცესი ებრაელი თემისთვის დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

2005-2006 წლებში უნგრეთის ხელისუფლებამ მიიღო დამატებითი რეზოლუცია, რომელიც რესტიტუციის პროცესის ფარგლებში დარჩენილი განხილვების სწრაფ გადაწყვეტას უზრუნველყოფდა. ძირითადად გადასაწყვეტი იყო კათოლიკე ეკლესიის 430-მდე საკულტო ნაგებობის საკითხი. რელიგიური ქონების რესტიტუციის პროცესი 2011 წელს დასრულდა.

უნგრეთში გატარებული რესტიტუციის პროცესი ნაკლებად პრობლემური იყო ჩამორთმეული საერთო საკუთრების/კომუნალური ქონების ანაზღაურებისას. დაბრკოლებები მეტნილად იქმნებოდა კერძო საკუთრების რესტიტუციისას (კომპენსაციის ოდენობა მწირი იყო და საბაზრო ღირებულებაზე დაბალი; არქივებზე არასრული წვდომა ართულებდა ჩამორთმეული ქონების შესახებ დოკუმენტების მოძიებას და ა.შ.)<sup>48</sup>.

44 Act XXXII on Settlement of Ownership of Former Real Properties of the Churches.

45 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rsl/or/93062.htm>

46 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIME – HUNGARY (AS OF 8 MARCH 2017), <https://archive.jpr.org.uk/download?id=3270>

47 Federation of Hungarian Jewish Communities – MAZSIHISZ. <https://mazsihisz.hu/>

48 World Jewish Restitution Organisation, WJRO Hungary Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/hungary/>

## ბულგარეთი

2006 წლიდან სახელმწიფომ შექმნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა რელიგიური ქონების სტატუსისა და დაბრუნების საკითხი. ბულგარეთის კანონმდებლობის მიხედვით, რესტიტუციას ექვემდებარება საერთო საკუთრება/კომუნალური ქონება, რომელიც 1944-1989 წლების პერიოდში იყო ჩამორთმეული. რესტიტუციის სახედ განსაზღვრულია კუთვნილი ქონების დაბრუნება ან კომპენსაციის გაცემა. დაზარალებულად ჩაითვლება ის ორგანიზაცია, რომელიც თემს წარმოადგენს. მაგალითად, ებრაული თემის ქონება გადაეცა „შალომს“, რომელიც ბულგარელ ებრაულ თემს წარმოადგენს<sup>49</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ საერთო საკუთრების/კომუნალური ქონების დაბრუნების პროცესი ბულგარეთში ამოწურულია. რესტიტუციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო განმცხადებელი ორგანიზაციის მტკიცების ტვირთი, რომ ის ნამდვილად სამართალმემკვიდრეა იმ რელიგიური ორგანიზაციების, რომელმაც ნაცისტური და კომუნისტური რეჟიმების წყალობით დაკარგა რელიგიური ქონება<sup>50</sup>.

რესტიტუციის პროცესი ითვალისწინებდა ნაცისტური და კომუნისტური რეჟიმების მიერ ჩამორთმეული კერძო საკუთრების დაბრუნებასაც. იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების დაბრუნება შეუძლებელი იყო ან/და აღარ არსებობდა, კომპენსაციის სახედ გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ობლიგაციების მიღება. კერძო საკუთრების რესტიტუციის შესახებ სახელმწიფოს მიმართვის ბოლო ვადად 2007 წელი იყო განსაზღვრული. არ იყო აუცილებელი, განმცხადებელი ყოფილიყვნენ ბულგარეთის მოქალაქეები. თუმცა, არამოქალაქეებს ჰქონდათ ვალდებულება, შემდგომში დაბრუნებული ქონების რეალიზაცია მოეხდინათ. ამასთან, ბულგარეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რესტიტუციის პროცესს უმემკვიდრეო ქონებაზე<sup>51</sup>.

## ესტონეთი

ესტონეთმა რესტიტუციის პროცესი 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ამ ეტაპზე, მართლმადიდებლური ეკლესიების უმეტესი ნაწილი ესტონური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის კონტროლის ქვეშ იყო. მათ შორის ის საკულტო ნაგებობებიც, რომელსაც წარსულში მოსკოვის საპატრიარქო ფლობდა. ესტონეთის ხელისუფლებამ ამ უკანასკნელს დაუბრუნა 10-მდე საკულტო ნაგებობა 2005-2007 წლებში<sup>52</sup>.

ასევე, ქონება დაუბრუნდა ებრაულ ქოლგა ორგანიზაციას – „ესტონეთის ებრაელ თემს“, რომელიც წარმოადგენდა ებრაული თემის ინტერესებს. მაგალითად, ტალინის ებრაული სკოლა, რომელიც დღეის მდგომარეობით ებრაული თემის ცენტრალური სათემო ცენტრი და სინაგოგა.

49 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIME – BULGARIA (AS OF 13 DECEMBER 2016), <https://archive.jpr.org.uk/download?id=3254>

50 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rls/or/93062.htm>

51 World Jewish Restitution Organisation, WJRO Bulgaria Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/Bulgaria/>

52 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rls/or/93062.htm>

ესტონეთში რესტიტუციას ექვემდებარებოდა 1940-1981 წლებში ჩამორთმეული სათემო ქონება<sup>53</sup>. ქონების დაბრუნების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლოს მეშვეობით. ეს საკითხი ესტონეთში პრობლემური არ ყოფილა, რადგან შენობების უმრავლესობას ფლობდნენ და განკარგავდნენ რელიგიური ორგანიზაციები 1940 წლის შემდეგაც. თუ სათემო ქონების დაბრუნება შეუძლებელი იყო, ანაზღაურების სახედ გათვალისწინებული იყო კომპენსაცია<sup>54</sup>.

1991 წელს, მიიღეს კანონი რესტიტუციის შესახებ. კანონი ეხება კერძო საკუთრების რესტიტუციას და არეგულირებს ნაცისტური და კომუნისტური რეჟიმის პირობებში დაზარალებული კერძო ქონების დაბრუნებას. ის არ მოიცავს მოქალაქეობის ან/და საცხოვრებელი ადგილის შესახებ მოთხოვნებს.

ამ დროისთვის, ესტონეთში რესტიტუციის პროცესი შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს<sup>55</sup>.

## ლატვია

1992 წელს, ლატვიის პარლამენტმა „რელიგიური ორგანიზაციების ქონების რესტიტუციის შესახებ კანონი“ მიიღო. კანონის თანახმად, რელიგიური ქონება, რომელიც ჩამორთმეული იყო 1940-1992 წლებში, უნდა დაბრუნებოდათ რელიგიურ ჯგუფებს. ანაზღაურების სახედ განსაზღვრული იყო კომპენსაციაც. კანონის მიხედვით, განმცხადებელს უნდა დაედასტურებინა უფლება სათემო მემკვიდრეობაზე (ქონებაზე) სასამართლოში. ლატვიაში ეს განსაკუთრებულ სირთულეებს აჩენდა ებრაულ თემთან დაკავშირებით. მათ არასდროს ჰქონიათ ცენტრალური სათემო ორგანიზაცია. ამასთან ერთად, ომის დროს ლატვიის ებრაული პოპულაციის თითქმის მთლიანად განადგურების შემდეგ, რთული ხდებოდა ებრაელ თემს ემტკიცებინა, რომ ომამდელი ებრაული თემის მემკვიდრე იყო.

რელიგიურ ორგანიზაციებს სათემო ქონების რესტიტუციისთვის მიმართვის ვადად 1994 წელი ჰქონდათ განსაზღვრული. ებრაულმა თემმა დაიბრუნა 30-მდე შენობა-ნაგებობა და მიიღო კომპენსაცია სხვა საკუთრებებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, 200-მდე უძრავი ქონების იდენტიფიცირება სახელმწიფომ მოახდინა როგორც ომამდელი ებრაული სათემო ქონება<sup>56</sup>.

2016 წელს, ლატვიის პარლამენტმა სავანონმდებლო ცვლილებები გაატარა რესტიტუციასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც ებრაულ თემს ხუთი შენობა-ნაგებობა დაუბრუნდა. ამ დრომდე დაუბრუნებელი რჩება ებრაული თემის 270-მდე საკუთრება. სხვა რელიგიური კონფესიების ქონების რესტიტუციის პროცესი კი შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს.

ლატვიის კანონმდებლობა ითვალისწინებს კერძო საკუთრების რესტიტუციასაც, რომელიც მე-საკუთრებს 1940 წლიდან ჩამოერთვათ. რესტიტუციის ფარგლებში კერძო პირებისთვის თუ შეუძლებელი იყო საკუთრების დაბრუნება, იღებდნენ ალტერნატიულ საკუთრებას ან სახელმწიფო ვაუჩერებს.

53 ob. Republic of Estonia Principles of Ownership Act <https://www.riigiteataja.ee/en/eli/520122018006/consolidate>

54 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIME – ESTONIA (AS OF 13 DECEMBER 2016), <https://archive.jpr.org.uk/download?id=3260>

55 World Jewish Restitution Organisation, WJRO Estonia Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/Estonia/>

56 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIMES – LATVIA (AS OF 13 DECEMBER 2016), <https://archive.jpr.org.uk/download?id=3274>

## ლიეტუვა

1995 წელს დამტკიცდა კანონი კერძო და კომუნალური/საერთო საკუთრების რესტიტუციის შესახებ<sup>57</sup>. კანონის თანახმად, მხოლოდ რეგისტრირებულ რელიგიურ ჯგუფებს შეეძლოთ მიე-მართათ სახელმწიფოსთვის რესტიტუციის საკითხებე. რელიგიურ ჯგუფებს ერთი წლის განმავ-ლობაში შეეძლოთ მოეთხოვათ საკუთრების დაბრუნება, რომელიც მათ 1940 წლიდან დაკარ-გეს (ძირითადად, საკულტო ნაგებობები)<sup>58</sup>. რეგულირებების თანახმად, შეუძლებელი იყო იმ ქონების დაბრუნება, რომელზეც შენობა-ნაგებობა არ იყო განთავსებული<sup>59</sup>. რესტიტუციას ექ-ვემდებარებოდა მხოლოდ საკულტო ნაგებობები. ებრაულ თემს რესტიტუციის პროცესის ფარ-გლებში დაუბრუნდა 30-მდე ასეთი შენობა-ნაგებობა. რელიგიურ ორგანიზაციებს შეეძლოთ რესტიტუციის ფორმის არჩევა: მიეღოთ კომპენსაცია, დაებრუნებინათ შენობა-ნაგებობა, მიწის ან იმავე ტიპის ალტერნატიული ქონების მიღება. რესტიტუციის შესახებ განაცხადების მიღება 2001 წელს შეწყდა<sup>60</sup>.

2002 წელს, ლიეტუვის ხელისუფლებამ შეიტანა ცვლილებები რესტიტუციის შესახებ კანონში. ამ ცვლილებებით, გაფართოვდა „რელიგიური საკუთრების“ შინაარსი, რათა მას მოეცვა სათე-მო ქონება, რომელიც რელიგიური დანიშნულების არ იყო.

ამის გარდა, ლიეტუვის პარლამენტმა ცალკე მიიღო კანონი (2011) უშუალოდ ებრაული რე-ლიგიური თემისთვის კომპენსაციის მინიჭების შესახებ. 2011 წელს საკანონმდებლო ორგანომ გადაწყვიტა, რომ 2013 წლიდან, 10 წლის განმავლობაში, მათთვის 53 მილიონ აშშ დოლა-რამდე გადაეხადა. კომპენსაციის ეს ოდენობა არის საერთო საკუთრების 30%-ის ეკვივალენ-ტური. კომპენსაციების მიღებისა და განკარგვის უფლება მიეცა ლიეტუვის ებრაული თემის და მსოფლიო ებრაელთა რესტიტუციის ორგანიზაციის (WJRO) ერთობლივ ფონდს – The Good Will Foundation-ს.

ამასთან ერთად, ლიეტუვის პარლამენტმა, სხვადასხვა დროს, მიიღო კანონები კერძო საკუთ-რების ანაზღაურების შესახებ<sup>61</sup>. კერძო საკუთრების რესტიტუცია ვრცელდებოდა დაზარალებუ-ლის მემკვიდრეებზე. ამასთან, ესტონეთისა და ლატვიისგან განსხვავებით, კერძო საკუთრების რესტიტუცია შეეძლო მოეთხოვა მხოლოდ ლიეტუვის მოქალაქეს<sup>62</sup>.

57 The Law on the Procedure for the Restoration of the Rights of Ownership of Religious Associations to Existing Real Property 1995.

58 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rsl/or/93062.htm>

59 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rsl/or/93062.htm>

60 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIME – LITHUANIA (AS OF 13 DECEMBER 2016), <https://archive.jpr.org.uk/download?id=3275>

61The Law on the Procedure and Conditions of Restoration of the Rights of Ownership to Existing Real Property (1991); Law on the Restoration of the Rights of Ownership of Citizens to the Existing Real Property (1997).

62 World Jewish Restitution Organisation, WJRO liithuania Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/lithuania/>

## ჩრდილოეთი მაკედონია

2000 წელს, მიიღეს „კანონი დენაციონალიზაციის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს 1944 წლიდან წართმეული საერთო საკუთრების/კომუნალური ქონების, სათემო ქონების დაბრუნებას.

მაკედონიის ხელისუფლებამ რელიგიურ ორგანიზაციებს დაუბრუნა დაკარგული ქონების ძირითადი ნაწილი. თუმცა, რამდენიმე რელიგიური ორგანიზაცია (მაგ. მუსლიმი თემი) თვლის, რომ დაკარგული ქონება ბოლომდე არ დაბრუნებია. რესტიტუციის პროცესში რელიგიური ორგანიზაციები განსაკუთრებულ სირთულეებს წააწყდნენ იმ ქონების დაბრუნებაზე, რომელთაც მნიშვნელოვანი კომერციული ადგილმდებარეობა ჰქონდათ და ბიზნესორგანიზაციები ფლობდნენ<sup>63</sup>.

მაგალითად, ებრაულ თემს 40 შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით ჰქონდა სია წარმოდგენილი. საბოლოოდ, თემმა ყველა მოთხოვნაზე უარი თქვა შემდეგი პირობების სანაცვლოდ: სამი შენობა-ნაგებობის და ერთი მიწის ნაკვეთის გადაცემა; სახელმწიფო ობლიგაციების გადახდა 10 წლის განმავლობაში (2004-2013), თემის ძირითადი საჭიროებებისთვის. სახელმწიფომ ეს პირობები გაიზიარა.

დენაციონალიზაციის კანონი ითვალისწინებდა კერძო საკუთრების რესტიტუციასაც, რომელიც ჩამორთმეული იყო 1944 წლის შემდეგ. განმცხადებლები უნდა ყოფილიყვნენ მაკედონიის მოქალაქეები კანონის მიღების მომენტში. ანაზღაურების სახედ გათვალისწინებული იყო ქონების უკან დაბრუნება ან სახელმწიფო ობლიგაციების გაცემა, როდესაც ქონების დაბრუნება შეუძლებელი იყო. სახელმწიფოსთვის მიმართვის ბოლო ვადად 2004 წელი იყო დადგენილი.

სახელმწიფო მიდგომები შემუშავდა უმემკვიდრეო/მიტოვებული ქონების შესახებაც. 2002 წელს შეიქმნა პოლოვოსტის ფონდი და იგი პასუხისმგებელია იმ უმემკვიდრეო ქონების განვარგვაზე, რომელიც წარსულში ებრაელებს ეკუთვნოდათ. მის ფარგლებში შეიქმნა პოლოვოსტის მუზეუმი და საგანმანათლებლო ცენტრი 2011 წელს. ფონდი ინარჩუნებს ებრაულ მემკვიდრეობას, მათ შორის, ებრაულ სასაფლაოებს<sup>64</sup>.

## პოლონეთი

რესტიტუციის შესახებ დისკუსია 1989 წლიდან დაიწყო. 1997 წელს მიიღეს კანონი, რომელიც ებრაული თემის კომუნალური ქონების რესტიტუციის საკითხებს არეგულირებდა<sup>65</sup>. კანონი ფარავდა ებრაული თემისთვის საკულტო ნაგებობების, სასაფლაოების, წარსულში საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული დანიშნულების მქონე შენობების დაბრუნებას, რომელიც 1939 წლიდან იყო ჩამორთმეული. რესტიტუციის პოლიტიკა არ მოიცავს კერძო საკუთრების დაბრუნებას ან/და კომპენსაციას.

63 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rts/or/93062.htm>

64 World Jewish Restitution Organisation, WJRO Macedonia Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/macedonia/>

65 The Law on the Relationship Between the State and Jewish Communities, 1997.

ამის გარდა, დაფუძნდა 5 კომისია, რომელიც თანაბრად იყო დაკომპლექტებული დაზარალებული რელიგიური თემებით და სახელმწიფოს წარმომადგენლებით და განიხილავდა განცხადებებს რესტიტუციასთან დაკავშირებით. ამ პროცესის ფარგლებში, 2006 წლისთვის, ქონების დაბრუნების შესახებ კათოლიკე ეკლესიას 3100-მდე, ლუთერულ ეკლესიას კი 1200-მდე განცხადება ჰქონდა წარდგენილი.

შეიძლება ითქვას, რომ რესტიტუციის პროცესი ყველაზე ეფექტურად ებრაელი თემისთვის წარიმართა. პასუხისმგებელი კომისია მათ განცხადებებს აქტიურად განიხილავდა<sup>66</sup>.

2000 წელს პოლონეთის ებრაულ თემთა გაერთიანებამ (JRCP)<sup>67</sup>-მ, მსოფლიო ებრაელთა რესტიტუციის ორგანიზაციასთან (WJRO) ერთად დააარსა ფონდი ებრაული მემკვიდრეობის დასაცავად. მათ პოლონეთი დაყვეს რამდენიმე იურისდიქციად, სადაც წარსულში მოხდა ებრაული საერთო საკუთრების კონფისკაცია. თითოეულ ერთეულში საერთო საკუთრების და მემკვიდრეობის დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილდა სხვადასხვა ებრაულ ორგანიზაციაზე. ისინი 1997-2000 წლებში სახელმწიფოს წარუდგენდნენ რესტიტუციის შესახებ საჩივრებს<sup>68</sup>.

რესტიტუციის პროცესი ნელა მიმდინარეობს. პოლონეთში, 15 წელია, რაც რესტიტუციის შესახებ საჩივრების გაგზავნის ვადა ამოიწურა, თუმცა, მათი დიდი ნაწილი კერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, ან რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული.

მაგალითად, ებრაული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა 3500-მდე განაცხადი წარადგინა (აქედან 600 – სასაფლაოს შესახებ), სხვა ებრაულმა ორგანიზაციებმა – დამატებით, 2000 განაცხადი (აქედან რამდენიმე ასეული – სასაფლაოების თაობაზე). კამპი, 2015 წლისთვის, ებრაულ თემს და მათ ორგანიზაციებს რესტიტუციის და კომპენსაციის შესახებ სულ 5504 განაცხადი ჰქონდათ სახელმწიფოსთვის წარდგენილი. მათგან განხილული იყო 2645 (2015 წლისთვის). განხილული საქმეებიდან ნახევარი დაკმაყოფილდა და სახელმწიფო ინსტიტუტებს დაევალათ, უკან დაებრუნებინათ ქონება ან გაეცათ კომპენსაცია.

თემისთვის საერთო საკუთრების დაბრუნების შემდეგ, სახელმწიფომ მათ მაღალი პასუხისმგებლობები დააკისრა. გადაცემული ქონების დიდი ნაწილი (სინაგოგები და სასაფლაოები) გადაცემის მომენტში დაზიანებული და განადგურებული იყო. პოლონური კანონმდებლობა კი მოითხოვს მათ შეკეთებას და შენახვა-შენარჩუნებას/კონსერვაციას, რაც მნიშვნელოვან ხარჯებს უკავშირდება<sup>69</sup>.

პოლონეთის რესტიტუციის პროცესი ნელი ტემპებით მიმდინარეობს. რესტიტუციის პოლიტიკა არ მოიცავს კერძო საკუთრების დაბრუნებას/ანაზღაურებას.

66 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rsls/or/93062.htm>

67 The Union of Religious Jewish Communities – “JRCP”.

68 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIME – POLAND (AS OF 13 DECEMBER 2016), <https://archive.jpr.org.uk/download?id=3285>

69 World Jewish Restitution Organisation, WJRO Poland Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/poland/>

## სლოვაკეთი

რესტიტუციის პროცესი 1990-იანი წლებიდან დაიწყო. 1993 წელს სლოვაკეთის ხელისუფლებამ მიიღო რამდენიმე კანონი რესტიტუციის შესახებ, მათ შორის, რელიგიური ქონების დაბრუნების თაობაზე. კანონი ეხებოდა საერთო რელიგიური საკუთრების რესტიტუციას, რომელიც ჩამორთმეული იყო კომუნისტური რეჟიმის დროს<sup>70</sup>.

ამ კანონის საფუძველზე, დაკარგული ქონების დასაბრუნებლად რელიგიურმა ორგანიზაციებმა სახელმწიფოს მიმართეს. მაგალითად, მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოთხოვნილი შვიდი საკულტო ნაგებობიდან ექვსი დაიბრუნა. კათოლიკე ეკლესიამ დაიბრუნა მოთხოვნილი რელიგიური ქონების 90 პროცენტი.

ებრაულმა თემმა რესტიტუციის მოთხოვნით 500 ქონებაზე მიმართა სლოვაკეთის ხელისუფლებას. აქედან 300 განცხადება დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია, რომ 1998 წელს ებრაულმა თემმა დაიბრუნა 1940 წელს ნაციონალურ ბანკში განთავსებული დეპოზიტიც, 600 000 აშშ დოლარამდე ოდენობით<sup>71</sup>.

2002 წელს, შეიქმნა ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების ფონდი. სახელმწიფომ გამოყო 18.5 მილიონი დოლარი (მთლიანი ქონებრივი ზიანის დაახლოებით 10%). 2003-2012 წლებში ეს თანხა უმეტესად გამოყენებული იყო სინაგოგებისა და სასაფლაოების აღსადგენად.

2005 წლისთვის ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ რესტიტუციის პროცესი ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო. 2005 წელს, სლოვაკეთის ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციას ნებას რთავდა, მოეთხოვა წარსულში კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა, ტყე და ადმინისტრაციული შენობები. 2006 წლისთვის, რესტიტუციის პროცესი დასრულებულად ითვლებოდა<sup>72</sup>. სლოვაკეთში რესტიტუციის მთავარი გამოწვევა სახელმწიფოს ფინანსური რესურსების არარსებობა იყო, რის გამოც სახელმწიფოს უჭირდა რესურსების გამოძებნა კომპენსაციის გადასახდელად.

ამასთან ერთად, რესტიტუციის შესახებ კანონები მოიცავდა კერძო საკუთრების რესტიტუციასაც, რომელიც ჩამორთმეული იყო კომუნისტური რეჟიმის მიერ 1948-1990 წლებში. რესტიტუცია მოიცავდა ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებას ან კომპენსაციის გადახდას<sup>73</sup>.

70 World Jewish Restitution Organisation, WJRO Slovakia Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/slovakia/>

71 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rls/or/93062.htm>

72 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rls/or/93062.htm>

73 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIME – SLOVAKIA (AS OF 13 DECEMBER 2016), <https://archive.jpr.org.uk/download?id=3291>

## გერმანია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (FRG) ვანონები შეეხებოდა როგორც კერძო, ასევე სათემო საკუთრების რესტიტუციის საკითხს. ამ რეზიმის ფარგლებში, სათემო საკუთრება უპატრონო ქონებად გამოცხადდა და გადაეცა ე.წ. მემკვიდრე ორგანიზაციებს:

ამერიკულ ზონაში – Jewish Restitution Successor Organization (JRSO)

ბრიტანულ ზონაში – the Jewish Trust Corporation

ფრანგულ ზონაში – Branche Française de la Jewish Trust Corporation

ამის შემდეგ, წარმოიშვა დავა JRSO-სა და გერმანიაში ებრაელ ლიდერებს შორის. ეს უკანასკნელები აცხადებდნენ, რომ სათემო ქონების ვანონიერი მემკვიდრეები იყვნენ.

რესტიტუციის უმაღლესმა სასამართლომ დავა JRSO-ს სასარგებლოდ გადაწყვიტა. მან JRSO აღიარა ებრაული ქონების ვანონიერ მემკვიდრედ. თუმცა, ამის შემდეგ JRSO-მ დადო შეთანხმება ადგილობრივ ებრაულ თემთან, რომლის ფარგლებშიც, ბერლინის ებრაული სათემო ქონების 60 პროცენტი ერგო აღნიშნულ ორგანიზაციას, ხოლო 40% – ადგილობრივ ებრაულ თემს.

რელიგიური და სათემო ქონების შესახებ რეგულაციები გაატარა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამაც (GDR). 1948 წლის 29 აპრილს გამოიცა „ნაცისტური ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონების დემოკრატიული ორგანიზაციებისთვის დაბრუნების შესახებ“ აქტი. აქტი ითვალისწინებდა ქონების დაბრუნებას კომუნისტური ჯგუფებისთვის, თუმცა ასევე ვრცელდებოდა „ეკლესიასა და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებზე“.

ებრაული თემი იძულებული იყო, დაყრდნობოდა ახალ ქოლგა ორგანიზაციას – საბჭოთა ზონაში ებრაული თემების ასოციაციას. მათ ქონების დაბრუნების შესახებ ამ ორგანიზაციის მეშვეობით უნდა მიემართათ სახელმწიფოსთვის. მიმართვის ვადად კი ორთვიანი პერიოდი დაწესდა.

ებრაული თემების ორგანიზაციას არ ჰქონდა საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ ორი თვის ვადაში ნაცისტების მიერ ჩამორთმეული ყველა ქონება აღერიცხა. საბოლოოდ, მათ 122 ობიექტზე წარადგინეს განცხადება. თუმცა, აღმოსავლეთ ბერლინის შემთხვევაში, სახელმწიფო ქონება ებრაულ თემს არ დაუბრუნა და, 1948 წლის ბრძანებით, ამ ტერიტორიაზე არსებული ებრაული სათემო ქონება სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარა. GDR-ის არსებობის პირობებში ებრაული თემი უშედეგოდ ცდილობდა 70-მდე რელიგიური ობიექტის დაბრუნებას.

**გერმანიის გაერთიანების შემდეგ,** 1990 წელს, გერმანიის ხელისუფლებამ მიიღო ვანონი საკუთრების შესახებ (Act on the Settlement of Open Property – Vermögensgesetz – VermG), რომლის მიხედვითაც უნდა დაკმაყოფილებულიყო იმ მოქალაქეების და ორგანიზაციების განცხადებები საკუთრების რესტიტუციასთან დაკავშირებით, რომლებიც განიცდიდნენ დევნას 1933 წლის 30 იანვრიდან 1945 წლის 8 მაისამდე, რასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური

ან იდეოლოგიური მიზეზებით. ამ კანონმა საშუალება მისცა რელიგიურ ორგანიზაციებს, ნაცისტური რეჟიმის მიერ ჩამორთმეულ ქონებაზე კვლავ ედავათ. უმეტესად, ეს მოთხოვნები ეხებოდა ყოფილ GDR-ში არსებულ რელიგიურ ქონებას. განცხადებების მიღების ბოლო ვადა 1992 წლის 31 დეკემბერი იყო.

მემკვიდრე ორგანიზაციების შესახებ FRG-ის პრეცედენტზე დაყრდნობით, გერმანიის წინააღმდეგ ქონებრივი დავების ორგანიზაციამ მოიპოვა კანონიერი მემკვიდრის სტატუსი ებრაულ სათემო და ორგანიზაციების ქონებაზე. მემკვიდრე ორგანიზაციის სტატუსმა დავების ორგანიზაციას შესაძლებლობა მისცა, ყოფილ GDR-ში აღედგინა ყველა ის ქონება, რომელზეც ებრაული წარმომავლობის იდენტიფიცირება მოხდა<sup>74</sup>.

რესტიტუციის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, სახელმწიფომ მხოლოდ ორი წინაპირობა წამოაყენა: მიწა, რომლის საკუთრებაში დაბრუნებასაც ითხოვდა მესაკუთრე, არ უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივ სარგებლობაში და დასაბრუნებელ ქონებაზე საკუთრების უფლება უნდა ყოფილიყო დასაბუთებული.

## რუმინეთი

2001 წელს რუმინეთმა კომუნალური საკუთრების, ასევე, რელიგიური საკუთრების რესტიტუციის შესახებ მიიღო კანონი. კანონი მოიცავდა 1945-დან 1989 წლამდე ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. ის არ ვრცელდებოდა 1940-45 წლებში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციაზე. აღნიშნულ პერიოდში ებრაულმა თემმა საერთო ქონების დიდი ნაწილი დაკარგა. რესტიტუცია ეხებოდა მხოლოდ იმ შენობებს, რომელიც დღემდე არსებობს. კანონი არ მოიცავდა კომპენსაციის გაცემას განადგურებულ ქონებაზე. ამასთან, რესტიტუციას არ ექვემდებარებოდა საკულტო ნაგებობები.

მიუხედავად რესტიტუციის პოლიტიკის ვიწრო ფარგლებისა, რუმინეთის ხელისუფლებას რელიგიურმა ორგანიზაციებმა ჯამში 14,800-მდე განცხადება წარუდგინეს. აქედან დიდი ნაწილი ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მიერ იყო წარდგენილი. განცხადებებს განიხილავდა სპეციალური კომისია. განცხადებების მიღების ბოლო ვადად დაწესებული იყო 2003 წელი.

2004 წელს, პარლამენტმა მიიღო აგრეთვე კანონი, რომელმაც გააფართოვა რესტიტუციის პროცესი. კანონი ითვალისწინებდა იმ ქონების რესტიტუციასაც, რომელიც კერძო საკუთრებაში იყო. ასევე, ადგენდა ეთნიკური ჯგუფების საერთო ქონების რესტიტუციას, რომელიც ჩამორთმეული იყო 1940-1989 წლებში. კანონი, მათ შორის, ეხებოდა ებრაელი თემის ქონების რესტიტუციას<sup>75</sup>.

74 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIME – GERMANY (AS OF 15 MARCH 2017), <http://archive.jpr.org.uk/download?id=3266>

75 State Secretariat for Religious Affairs, State and Religion in Romania, Bucharest, 2019, [http://culte.gov.ro/wp-content/uploads/2019/05/BookEN2.pdf?fbclid=IwAR3HuLC-aRfXUgugSLa1Zr\\_PBZipO3PHX4mrg7IPUIBs4h4w6huhp5Zxdcc](http://culte.gov.ro/wp-content/uploads/2019/05/BookEN2.pdf?fbclid=IwAR3HuLC-aRfXUgugSLa1Zr_PBZipO3PHX4mrg7IPUIBs4h4w6huhp5Zxdcc)

2013 წელს, რესტიტუციის პროცესს დაემატა რამდენიმე წესი. მათ შორის, საყურადღებოა, რომ რესტიტუციას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის უძრავი ქონება, რომლის კანონიერი ექსპ-როპრიაცია მოხდა და დოკუმენტურად დასტურდებოდა. ეს წესი პრობლემებს აჩენდა იმ ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით, რომელიც ძალისმიერი გზით იყო წარმატებული და მათ შესახებ დოკუმენტურად დადასტურებული ექსპროპრიაცია არ მომხდარა.

პრობლემური იყო სამართალმექვიდრეობის საკითხიც. რელიგიურ ორგანიზაციებს უწევდათ სასამართლოში ემტკიცებინათ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მათი კავშირი სათითაოდ. 2016 წელს რესტიტუციის შესახებ მიღებულმა ახალმა რეგულაციებმა გაამარტივა სამართალ-მექვიდრეობის მტკიცების ნაწილი. ასევე, შეიქმნა მკაფიო ჩარჩო განაცხადის მიღებისა და მისი წარმოების ვადებთან დაკავშირებით<sup>76</sup>.

მნიშვნელოვანია რუმინეთის რესტიტუციის პროცესი ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიასთან მი-მართებითაც. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, კომისია, რომელიც მათი ქონების დაბრუნე-ბის განხილვებზე იყო პასუხისმგებელი, მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. პარალელურად კი, მართლმადიდებელი ეკლესია აგრძელებდა ბერძნულ-კათოლიკური საკულტო ნაგებობე-ბის დაზიანებასა და ნგრევას სხვადასხვა საფუძვლით და ხელს უშლიდა საკულტო ნაგებობების კანონიერი მესაკუთრებისთვის დაბრუნების პროცესს. საბოლოოდ, ბერძნულ-კათოლიკურმა ეკლესიამ ქონების ნაწილი დაიბრუნა ან/და კომპენსაცია მიიღო<sup>77</sup>.

კომუნალური საკუთრების რესტიტუციის შესახებ რუმინული კანონები არ ეხებოდა რამდენი-მე მნიშვნელოვან საკითხს: მაგალითად, დანგრეული ან გადაკეთებული/მოდიფიცირებული შენობები არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. ასევე, ქონება არ იყო შეფასებული საბაზრო ღირებულებით.

რესტიტუციის პროცესს ართულებდა განცხადებების განხილვის ხშირი გადადება, ქონებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოპოვების სირთულეები, არქივზე შეზღუდული წვდომა და სხვა.

1997 წელს, რუმინეთის ებრაული თემების გაერთიანებამ (FEDROM) და მსოფლიო ებრაელ-თა რესტიტუციის ორგანიზაციამ (WJRO) დააფუძნეს საერთო ფონდი – Caritatea Foundation. ფონდმა საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით სახელმწიფოსთვის წარედგინა ებრაული თემის განცხადები და შემდგომში ემართა დაბრუნე-ბული ქონება და კომპენსაცია. ჟამში, ფონდმა 1980 განცხადება გაგზავნა ქონების რესტიტუციის ეროვნულ სააგენტოში, რომელიც რესტიტუციაზე განმხილველ და პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენდა.

2016 წელს სახელმწიფომ აღიარა Caritatea Foundation-ის საკუთრების უფლება 55 ობიექტზე/ქონებაზე. მათ შორის იყო სკოლები და სასაფლაოები. ამასთან ერთად, გადაიდო განხილვა 40 საკუთრების შესახებ, რომელიც ებრაულმა თემმა კომუნისტურ რეჟიმს იძულების წესით „შესწირა“.

76 Institute for Jewish Policy Research, OVERVIEW OF IMMOVABLE PROPERTY RESTITUTION/COMPENSATION REGIME – ROMANIA (AS OF 13 DECEMBER 2016), <https://archive.jpr.org.uk/download?id=3287>

77 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rls/or/93062.htm>

რუმინეთში საერთო საკუთრების რესტიტუციის პროცესი ნელა მიმდინარეობს. რელიგიური ორგანიზაციების მოთხოვნის დიდი ნაწილი არ დაკმაყოფილებულა ან დღემდე გადაუჭრელი რჩება.

რაც შეეხება კერძო საკუთრების რესტიტუციას, ის 1954 წლის შემდეგ ჩამორთმეულ ქონებაზე ვრცელდებოდა და მიმართვის ბოლო ვადად 2003 წელი იყო განსაზღვრული. სახელმწიფომ 250 000-მდე განაცხადი მიიღო. რესტიტუცია მოიცავდა ან ქონების დაბრუნებას, ან, როცა ეს შეუძლებელია – კომპენსაციის გადახდას. ამისათვის შეიქმნა სპეციალური ფონდი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რუმინეთის ხელისუფლებას აკრიტიკებდა გადახდის არა-ეფექტურიანი მექანიზმის გამო<sup>78</sup>.

## უკრაინა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რიგ შემთხვევებში, უკრაინის ხელისუფლება იღებდა გადაწყვეტილებებს რელიგიური ორგანიზაციებისთვის რელიგიური ქონების დაბრუნების შესახებ. 1992 წლის აქტით, რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიბრუნონ საკულტო ნაგებობები, რომელიც ჩამოერთვათ საბჭოთა რეფიმის დროს. ამასთან, არსებობს სავანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც ნებას რთავს რელიგიურ ორგანიზაციებს, კულტურული ღირებულების მქონე ძეგლებით ისარგებლონ ღვთისმსახურებისთვის. აღნიშნულის საშუალებით, რელიგიურ ორგანიზაციებს სარგებლობის უფლებით აქვთ გადაცემული წარსულში ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი, თუმცა, არა საკუთრების უფლებით.

2007 წლიდან რესტიტუციის პოლიტიკის შესახებ დისკუსიები გააქტიურდა. 2007 წელს, რესტიტუციის შესახებ სახელმწიფო კომისია მიმართავდა იუსტიციის სამინისტროს, წარმოედგინა რელიგიური ქონების რესტიტუციის შესახებ კანონპროექტი.

2009 წელს სახელმწიფომ მოამზადა კანონპროექტი, რომელიც ეხებოდა ჩამორთმეული რელიგიური ქონების რესტიტუციას, თუმცა, საბოლოოდ, ეს კანონი არ დამტკიცებულა. ამის შემდეგ, სახელმწიფომ ხელი მოაწერა ტერეზინის დეკლარაციას, რომელიც მას აკისრებს ვალდებულებას, ებრაელ თემს აუნაზღაუროს საერთო და რელიგიურ საკუთრებებთან დაკავშირებული ზიანი, რომელიც მათ პოლოვოსტის დროს მიადგათ; ასევე, იმისათვის, რომ განმცხადებელმა შეძლოს მიმართვა, უნდა არსებობდეს ადეკვატური სახელმწიფო მექანიზმები<sup>79</sup>.

დღეის მდგომარეობით, სახელმწიფოს პოზიციით, რელიგიური ქონების უმეტესი ნაწილი დაბრუნებულია მისი კანონიერი მესაკუთრეებისთვის. ხშირად ისმის კრიტიკა, რომ სახელმწიფოს მიდგომები რელიგიური ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით გაუმჯორვალე და ბუნდოვანია. რესტიტუციის შესახებ სახელმწიფო კომისია 2002 წლიდან არსებობს, თუმცა მისი მუშაობა პრაქტიკაში უმეტესად გაჩერებული იყო. სახელმწიფო პოზიციის თანახმად, 1992-2006 წლებ-

78 World Jewish Restitution Organisation, WJRO Romania Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/romania/>

79 World Jewish Restitution Organisation, WJRO Ukraine Operations, <https://wjro.org.il/our-work/restitution-by-country/ukraine/>

ში სახელმწიფომ რელიგიურ ორგანიზაციებს დაუბრუნა 3600-მდე რელიგიური დანიშნულების ნაგებობა. ასევე, სახელმწიფო გამოყოფდა ფინანსებს 1992-2004 წლებში საკულტო ნაგებობების რეკონსტრუქციისთვის. თუმცა, რელიგიური ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ეს პოლიტიკა მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით გატარდა.

რელიგიური ქონების დაბრუნების საკითხს ართულებდა შიდაკონფესიური დაპირისპირებიც; საკულტო ნაგებობებზე რამდენიმე რელიგიური ორგანიზაცია აცხადებდა პრეტენზიას. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე მაგალითი, როდესაც ორ რელიგიურ ორგანიზაციას როტაციული წესით გადაეცა ერთი საკულტო ნაგებობა.

დღემდე, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლების დიდი ნაწილის აჩრით, რესტიტუციის პროცესი სრულად არ ჩატარებულა და ძალიან წელა მიღის<sup>80</sup>.

---

80 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rls/or/93062.htm>

## 5. ჩესტიტუციის პოლიტიკის ენალიზი

როგორც საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს, რესტიტუციის პროცესი აღმოსავლეთ ევროპაში ძირითადად დასრულებულია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დროის გასვლასთან ერთად, რესტიტუციის მექანიზმის შექმნა და განხორციელება რთულდება, რადგან სახელმწიფო ქონების პრივატიზების გამო, მცირდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ოდენობა.

რესტიტუციის პოლიტიკის შემუშავება ევროპის ქვეყნებში უმეტესად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესს რიგი ფაქტორები ახალისებდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კი, საერთაშორისო დონეზე ებრაული თემისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხების დღის წესრიგში დაყენება იყო. მსოფლიოს ებრაულმა რესტიტუციის ორგანიზაციამ (WJRO) ფართო მხარდაჭერა მიიღო საერთაშორისო დეკლარაციების და რეზოლუციის სახით. აღნიშნული ორგანიზაცია ევროპული ქვეყნების ებრაელ თემებს ხელმძღვანელობდა რესტიტუციის პროცესის წარმართვაში. ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყო ზოგადად რელიგიური ქონების რესტიტუციის პროცესს. სახელმწიფოები უმეტესად ქმნიდნენ თანასწორ კანონმდებლობას რელიგიური და ეთნიკური გაერთიანებების მიმართ. თუმცა, იყო მთელი რიგი საკითხები, რომლებიც მხოლოდ ებრაულ თემს ეხებოდა. მაგალითად, ხშირად ცალკე იყო გამოყოფილი პოლოვოსტის დროს მიყენებული ზიანი. თუმცა, ეს ნაწილი უფრო მეტად კერძო საკუთრების რესტიტუციას მიემართებოდა და არა საერთო საკუთრებას/რელიგიურ საკუთრებას.

მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების როლიც, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განუხრელად უჭერდა მხარს ევროპაში რესტიტუციის პოლიტიკის გატარებას.

„შეერთებული შტატები მყარად უჭერს მხარს იმ ქონების რესტიტუციის უველა მცდელობას, რომელიც ჩამორთმეული იყო ნაცისტური (1933-45წწ.) და შემდგომში კომუნისტური ხელისუფლებების მიერ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. საკუთრების მიმართულებით განხორციელებული პოზიტიური ქმედებები იყო ერთ-ერთი კრიტერიუმი იმ ქვეყნების შესაფასებლად, რომლებიც ისწრაფოდნენ ნატოს წევრობისკენ. ევროვავშირი ასევე აღიარებს საკუთრების საკითხების მნიშვნელობას წევრი კანდიდატების შესაფასებლად“, – ვკითხულობთ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2007 წელს მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში<sup>81</sup>. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის ქონების რესტიტუციის საკითხი კანონის უზენაშობის და ქვეყნის დემოკრატიულობის ინდიკატორია. თანასწორი რესტიტუციის პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანია ჭანსაღი საბაზრო ეკონომიკისთვისაც.

რესტიტუციის პოლიტიკის შესახებ ევროპის ქვეყნების გამოცდილებიდან შემდეგი საკითხები შეგვიძლია გამოვყოთ:

81 U.S Department of State, Bureau of European and Eurasian Affairs, Property Restitution in Central and Eastern Europe, Washington, DC, October 3, 2007, <https://2001-2009.state.gov/p/eur/rsls/or/93062.htm>

- ▶ უმეტეს ქვეყანაში, ქონების რესტიტუციის შესახებ სავანონმდებლო რეგულირებების მიღების შემდეგ, დაბარალებული პირებისთვის განცხადებებით მიმართვის დასაწყისი და ბოლო ვადა იყო დაწესებული;
- ▶ ქონების რესტიტუციისთვის განსაზღვრული იყო მკაფიო და ნათელი პროცედურები;
- ▶ ქონების დაბრუნების უფლებაზე მტკიცების ტვირთი დაკისრებული პქონდა განმცხადებელს;
- ▶ უმეტეს ქვეყანაში ქონების რესტიტუციის სახედ განსაზღვრული იყო როგორც ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, ისევე მისი კომპენსაციის წესით ანაზღაურება;
- ▶ უმეტეს ქვეყანაში ქონების დაბრუნების საკითხებს განიხილავდა სპეციალური სახელმწიფო კომისია;
- ▶ ზოგიერთ ქვეყანაში, თითოეული კონფესიისთვის, არსებობდა ცალ-ცალკე სახელმწიფო კომისია ქონების დაბრუნების საკითხების განსახილველად;
- ▶ უმეტეს ქვეყანაში რელიგიური და სათემო ქონების რესტიტუცია ნიშნავდა აღნიშნული ქონების მათთვის საკუთრების უფლებით გადაცემას;
- ▶ იქედან გამომდინარე, რომ ერთ კონფესიურ მიმდინარეობას შესაძლოა რამდენიმე ორგანიზაცია ცალ-ცალკე წარმოადგენდეს, ქონების რესტიტუციის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რელიგიურ ორგანიზაციას დაემტკიცებინა, რომ მას აქვს საკუთრების უფლება წარსულში ჩამორთმეულ ქონებაზე;
- ▶ ხშირად, ერთი კონფესიის მიმდევარი ორგანიზაციები ერთიანდებოდნენ ან/და საერთო წარმომადგენლობით ორგანიზაციას ქმნიდნენ იმისათვის, რომ სახელმწიფოსთან ურთიერთობა გამარტივებულიყო ქონების რესტიტუციის პროცესში. ამ მიდგომას თითქმის ყველა მიმოხილულ ქვეყანაში იყენებდა ებრაული თემი.

ევროპის ქვეყნების მაგალითებიდან გამომდინარე, არ არსებობს ქონების რესტიტუციის მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა. თუმცა, შესაძლებელია, გამოივვეთოს საერთო პრინციპებიც. მნიშვნელოვანია, რესტიტუციის პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო უთანასწორო არ მოეპყრას დაბარალებულ ჰგუფებს. ცხადია, საერთო საკუთრების რესტიტუციის პროცესში თუ დომინანტი რელიგიური ჰგუფი დაიბრუნებს თავის კუთვნილ ქონებას, ხოლო არადომინანტი რელიგიური ჰგუფები ამას ვერ შეძლებენ, ეს მნიშვნელოვან მოკლევადიან და გრძელვადიან კრიზისებს შექმნის. რესტიტუციის პოლიტიკა დისკრიმინაციული ხასიათის არ უნდა იყოს.

ევროპის გამოცდილებიდან გამომდინარე, განსხვავებული მოპყრობა დამახასიათებელი იყო ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ებრაული თემის მიმართ, ისტორიული წარსულიდან და ზარალის მასშტაბიდან გამომდინარე. სხვა ყველა შემთხვევაში, რესტიტუციის პოლიტიკა თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობდა რელიგიურ და სათემო ჰგუფებს.

საკუთრების რესტიტუცია შეიძლება სახელმწიფოსთვის რთული გამოწვევა გამოდგეს. მესაკუთრეების ან შენობის დანიშნულების/ტიპის ცვლილებამ შესაძლოა შეუძლებელი გახადოს დაბარალებულისთვის საკუთრების დაბრუნება. სახელმწიფოსთვის კერძო მესაკუთრისგან ქონების გამოსყიდვის მცდელობა მძიმე ეკონომიკური ტვირთიც იქნება.

ცხადია, შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ქონების დაბრუნება შეუძლებელია. ძირითადად, ასეთი პრობლემა მაშინ იქმნება, როდესაც შენობას ჰყავს კერძო მესაკუთრე/მესაკუთრეები, რომლებიც თავის მხრივ ქონების კეთილსინდისიერი შემძენები არიან. ასეთ დროს, ანაზღაურების სახედ განსაზღვრული უნდა იყოს კომპენსაცია. ამ უკანასკნელის მიმართ მრა-

ვალგვარი მიდგომის ჩამოყალიბება შეიძლება. ევროპის ქვეყნების რესტიტუციის პოლიტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც კომპენსაციის სახედ განსაზღვრულია: სახელმწიფო ვაუჩერები/ფასიანი ქაღალდები, რომლებითაც შესაძლებელია სახელმწიფო ბალანსზე არსებული ქონების შესყიდვა; ასევე, პირდაპირი გადახდა თანხით საბაზრო ფასის შესაბამისად; პირდაპირი გადახდა თანხით სიმბოლურ ფასად; ეტაპობრივი გადახდა წინასწარ დადგენილი ვადებით.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ რესტიტუციის პოლიტიკის ფარგლებში საერთო საკუთრების (communal property) ცნება არ ვრცელდებოდა მხოლოდ რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე და მოიცავდა რელიგიური და სათემო ჭავჭავების სასაფლაოებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, სათემო სახლებს და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რესტიტუციის პოლიტიკის ფარგლებში შეზღუდვას შესაძლოა დაექვემდებაროს იმ ქონების დაბრუნება, რომელსაც საერთო-საზოგადოებრივი ღირებულება აქვს. მაგალითად, ტყეები, დაცული ტერიტორიები, სარეკრეაციო ზონები, მუზეუმები, მსხვილი სა-სოფლო-სამეურნეო მიწები, საძოვრები, სარწყავი არხები, ჭები და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ რესტიტუციის კანონები უზრუნველყოფის რელიგიური და სათემო ორგანიზაციების სრულფასოვან წვდომას საარქივო ჩანაწერებზე. ამ მხრივ, პრობლემები იქმნებოდა ევროპის ქვეყნებშიც რესტიტუციის პოლიტიკის გატარებისას. ამასთან, მნიშვნელოვანია ალტერნატიულ წყაროებზე წვდომა და ალტერნატიული მტკიცებულებების განხილვის შესაძლებლობა სახელმწიფოს მიერ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არქივები განადგურებულია.

რესტიტუციის შესახებ იურიდიული პროცედურები უნდა იყოს მკაფიო და ნათელი. ის უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- ▶ ვის შეუძლია მიმართოს სახელმწიფოს?
- ▶ ვინ არის განმხილველი ორგანო?
- ▶ რა დოკუმენტების წარდგენაა საჭირო განმხილველი ორგანოსთვის?
- ▶ როგორია ქონების რესტიტუციის განხილვის ვადები ერთეულ განცხადებასთან მიმართებით?

თუ განმცხადებელი არ ეთანხმება განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებას, დავის რა მექანიზმებია უზრუნველყოფილი?

რესტიტუციის კანონები უნდა გავრცელდეს ქვეყნის მთლიან ნაწილზე. არაკონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიებზე კი ქმედებები უნდა გატარდეს მაშინ, როცა ეს შესაძლებელი იქნება. ფაქტობრივი კონტროლის განუხორციელებლობა გარკვეულ ტერიტორიაზე, არ უნდა ნიშნავდეს ვალდებულებისგან თავის დახსნას რესტიტუციის ნაწილში.

მტკიცების ტვირთი, ქონების დაბრუნებისთვის, ყველა შემთხვევაში, განმცხადებელზე უნდა იყოს. ამასთან, რესტიტუციის პროცესში დაცული უნდა იყოს მესამე პირების ინტერესები, რომლებიც აცხადებენ პრეტენზიას კონკრეტულ ქონებაზე. თუ კონკრეტულ ქონებაზე ორ ან მეტ პირს გააჩნია პრეტენზია, ორივემ უნდა ამტკიცოს თავისი სიმართლე. სახელმწიფომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და არგუმენტების გათვალისწინებით.

## 6. საქართველოში რესტიტუციის პოლიტიკის გასატარებლად შესაძლო გზები და რეკომენდაციები

საქართველოში რესტიტუციის პოლიტიკის გასატარებლად, პირველ რიგში, გამოიყენება უნდა იყოს ევროპული ქვეყნების გამოცდილება. განსაკუთრებით კი იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა, რომლებმაც იგი წარმატებით განახორციელეს.

ასევე, მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რესტიტუციის მექანიზმებს და პროცედურულ საკითხებს. განსაკუთრებით კი, მემკვიდრეობისა და მტკიცების ტვირთის საკითხებს. ევროპული ქვეყნების გამოცდილებაც მეტყველებს იმაზე, რომ მსგავსი საკითხები სწორად დარეგულირება შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა იყოს რესტიტუციის პოლიტიკის გასატარებლად.

რესტიტუციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რელიგიური გაერთიანებებისა და შესაბამისი სფეროს ექსპერტების მაქსიმალური ჩართულობა და მონაწილეობა.

**წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, TDI შემდეგ რეკომენდაციებს წარმოადგენს:**

### **საქართველოს მთავრობას:**

1. აღნუსხოს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის მიყენებული ზიანის მასშტაბი, მათ შორის, უზრუნველყოს ჩამორთმეული ქონების დოკუმენტირება.
2. რესტიტუციის პოლიტიკა/ზიანის ანაზღაურება დაეყრდნოს მხოლოდ დეტალური შესწავლისა და აღნუსხვის ფარგლებში მიღებულ მონაცემებს. აღნიშნული წესი გავრცელდეს ყველა რელიგიურ გაერთიანებაზე, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე;
3. შეისწავლოს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული კათოლიკე ეკლესიის შვიდი ტაძრის (გორში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდესა და ბუზმარეთში, ქუთაისში, ასევე ბათუმში მდებარე ორი ტაძრის) მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიიარქოსთვის გადაცემის კანონიერება და უზრუნველყოს კათოლიკე ეკლესიის უფლების აღდგენა.
4. უზრუნველყოს არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციებისთვის იმ ქონების საკუთრების უფლებით გადაცემა, რომლებსაც ისინი დღეს მხოლოდ სარგებლობის უფლებით განკარგავენ;
5. განსაზღვროს რესტიტუციის პროცესზე პასუხისმგებელი უწყება/უწყებები, რელიგიური გაერთიანებების და ექსპერტების ჩართულობით;
6. უზრუნველყოს იმ რელიგიური შენობა-ნაგებობების კონსერვაცია, დაცვა და შესაბამისი მოვლა-პატრონობა, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს წარმოადგენს ან/და ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში ირიცხება;

7. იმ რელიგიურ ნაგებობებზე, რომელიც ისტორიულად სხვა გაერთიანების საკუთრებაა და რომლებსაც ამჟამად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ფლობს, აღიკვეთოს ყველა სახის უკანონო ზემოქმედება, რევონსტრუქცია, ისტორიულ-კონფესიური იერსახის ცვლილება;

8. უბრუნველყოს რელიგიური გაერთიანების და მკვლევრების სრული მისაწვდომობა საარქივო მასალებზე, რათა დაუბრკოლებლად შეძლონ მონაცემებისა და შესაბამისი დოკუმენტების შეგროვება მათი ისტორიულ ქონების შესახებ.

### **საქართველოს პარლამენტს და მთავრობას:**

9. შეიმუშაოს სათემო ქონების (communal property) რესტიტუციის შესახებ კანონპროექტი. დამკვიდრდეს სათემო ქონების (communal property)-ის ცნება ქართულ კანონმდებლობაში, რაც რელიგიურ ორგანიზაციებს მისცემს შესაძლებლობას, ამტკიცონ დაკარგული, წართმეული, ჩამორთმეული ქონების შესახებ თავიანთი საკუთრების უფლება;

10. შეიმუშაოს საკანონმდებლო მიდგომები რელიგიური ორგანიზაციების ისტორიული, მოძრავი ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით, რომელიც დღეს არსებობს და არ არის განადგურებული; ფლობს სახელმწიფო ან კერძო პირები;

11. გააუქმოს სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც პრივატიზებას არ ექვემდებარება სახელმწიფო ქონება: რელიგიური და საკულტო ნაგებობები (მოქმედი და უმოქმედო), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ისინია განთავსებული;

12. შესაბამისობაში მოიყვანოს კანონმდებლობა რესტიტუციის პრინციპებთან და საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული, ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საკულტო ნაგებობები დაუბრუნოს ისტორიულ მესაკუთრეებს: სომეხთა სამოციქულო ეკლესიას, ევანგელიურ-ლუთერულ ეკლესიას, მუსლიმ თემს, იუდაურ თემს.

### **თვითმმართველობით ორგანოებს:**

13. რელიგიური დანიშნულების ნაგებობებთან დაკავშირებულ პროცესებში, მკაცრად დაიცვან რელიგიური ნეიტრალობა, თანასწორუფლებიანობა და რელიგიის თავისუფლება;

14. შეინარჩუნონ თავიანათ ბალანსზე არსებული სათემო, რელიგიური ქონება. გაუფრთხილდნენ და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ მისი კონსერვაცია.

### **რელიგიურ ორგანიზაციებს:**

15. აღნუსხონ რელიგიური ქონება, რომელიც დაკარგეს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. შეაგროვონ სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალა, რომელიც აღწერს მათ ისტორიულ საკუთრებას სათითაოდ.

# ლენინი

რელიგიური დანიშნულების შენობების ნაწილი, რომელიც ჩამორთმეულია და არ დაბრუნებულა არადომინატი რელიგიური გაერთიანებებისთვის:

## ევანგელურ-ლუთერული ეკლესია

### ნოი-ტიფლისის პეტრე-პავლეს ტაძარი (თბილისი, აღმაშენებლის გამზ.)

თბილისში, მარჯანიშვილის მოედანთან, 1897 წლიდან ფუნქციონირებდა ნოი-ტიფლისის პეტრე-პავლეს ტაძარი. მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ტაძარი დახურა, პასტორი და მისი ოჯახი კი დახვრიტა. 1946 წელს, ნოი-ტიფლისის ტაძარი გერმანელ ტყვეებს დაანგრევინეს და მის ადგილას საცხოვრებელი სახლი ააშენებინეს, რომელიც დღემდე დგას.

ნოი-ტიფლისში მდებარეობდა გერმანული სკოლაც – პეტრე-პავლეს ორკლასიანი სასწავლებელი. როგორც ჩანს, მან გერმანელთა ჩამოსახლების შემდეგ, მალევე დაიწყო ფუნქციონირება. 1906 წელს, ლუთერებმა გადაწყვიტეს, რომ ორკლასიანი სასწავლებელი საშუალო სკოლად გადაკეთებულიყო. ფული შეაგროვეს და 1912 წელს ეს შესაძლებელი გახდა. სკოლა მდებარეობდა მაშინდელი კიროჩნის ქუჩის 25-27 ნომერში<sup>82</sup>. ის გახდა შემდგომში, 1918 წელს, თბილისის გერმანული გიმნაზიის დაარსების წინაპირობა. სკოლა 1925 წელს გაუქმდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

### ალექსანდერსდორფის წმ. პავლეს ლუთერული ეკლესია (თბილისი, დიდუბე, აგლაძის ქ.)

თბილისში ლუთერული ეკლესია მდებარეობდა ალექსანდერსდორფშიც, რომელიც მე-19 საუკუნის შუა ხანებში აშენდა. ამის გარდა, ცნობილია, რომ დასახლებაში არსებობდა სასაფლაო და სკოლაც. სკოლა მდებარეობდა სამტრედიის ქუჩაზე, რომელიც ახლა საცხოვრებელი სახლის ფუნქციას ასრულებს. ევანგელურ-ლუთერული ეკლესია საბჭოთა ხელისუფლების დროს ჰქონდა გადააკეთეს, შემდეგ კი, 1950-60-იან წლებში, დაანგრიეს ქუჩაზე ტრამვაის ხაზის გაყვანის გამო. ალექსანდერსდორფის ტრიკორიაზე დღესდღეობით აღარც სასაფლაოა, თუმცი მისი მდებარეობა ჩანს 1934 წლის თბილისის რუკაზე.

### მარიენფელდის გერმანული ეკლესია (გარდაბანი, სოფ. სართიჭალა)

სამხრეთ კავკასიაში გერმანელთა პირველ დასახლებაში, მარიენფელდში, მდებარეობდა გერმანული ეკლესია და სასაფლაო. ეკლესის მრევლი აერთიანდებდა პეტერსდორფის და ფროიდენტალის მრევლსაც. მარიენფელდის ეკლესია მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან ფუნქციონირებდა. მან ფუნქციონირება შეწყვიტა საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ. საბჭოთა პერიოდში ის პირველ ეტაპზე კლუბად გადაკეთდა, შემდგომ – კულტურის სახლად და კინოთეატრად. მისი იერსახე შეცვლილია. მას გაუკეთდა მიშენებები და შეეცვალა ფასადი. შენობა დღეის მდგომარეობით კვლავ არსებობს, თუმცა, ავთენტურობა დაკარგული აქვს.

დღევანდელი მარჯანიშვილის მოედანი, თბილისი.

ეკლესიის ამოცნობა დღეს რთულია, ადგილი მიტოვებული და მეთვალყურეობის გარეშეა დარჩენილი. გერმანელთა სასაფლაო, სადაც გერმანული წარწერებითა და შესანიშნავი დეკორით გაფორმებული ათეულობით საფლავის ქვაა დაცული – შემოღობილი და მოვლილია.

### **ელიზაბეტალის ლუთერული ეკლესია (თეთრიწყარო, სოფ. ასურეთი)**

ლუთერული ეკლესია აშენდა ელიზაბეტალშიც 1871 წელს არქიტექტორ ზალცმანის ხელმძღვანელობით. მანამდე, მის ადგილას უფრო პატარა ეკლესია იყო განთავსებული. ელიზაბეტალში მდებარეობდა გერმანელთა სასაფლაოც. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ლუთერული ეკლესია კლუბად გადაკეთდა. 50-იან წლებში მას მნიშვნელოვნად შეეცვალა ფასადური იერსახე. საბჭოთა ხელისუფლებამ მოაწოდეს ეკლესის სამრეკლო და რვაწახნაგოვანი გუმბათი. გაუქმდა გუმბათის თაღიც.

დღეის მდგომარეობით, შემორჩენილია ელიზაბეტალის ლუთერული ეკლესია და გერმანული სასაფლაო. ეკლესიას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, როგორც „ასურეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიას“. მას მართლმადიდებელი ეკლესია იყენებს.

საქართველოს ევანგელიურ-ლუთერული ეკლესიის ხელმძღვანელობის თქმით, 2009 წელს მათ საქართველოს საპატრიარქოს ასურეთის ეკლესიის სარეაბილიტაციო ერთობლივ პროექტებშე მუშაობა შესთავაზეს, რომლის მიხედვითაც, აღდგენილ ეკლესიაში სამლოცველო კუთხე ორივე დენომინაციის წარმომადგენლებისთვის გამოიყოფოდა. თუმცა, საქართველოს საპატრიარქომ შეთავაზებაზე უარი განაცხადა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2016 წლიდან მიმდინარეობდა ასურეთის ისტორიული ბონის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა გერმანული სასაფლაოს რესტავრაცია, ხოლო 2020 წელს დასრულდა ეკლესიის რესტავრაციაც. 2019 წლის მაისში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, ეკლესიის ნაწილი<sup>83</sup> სარგებლობის უფლებით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცემოდა. შედეგად, მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნული ქონება 99 წლიანი სარგებლობის უფლებით დაირეგისტრირა. ქონების ისტორიული მესაკუთრე, ევანგელიურ ლუთერული ეკლესია, კი დღემდე ვერ ახერხაბს ვერც ქონების რეგისტრაციას და ვერც ეკლესიით სარგებლობას.

### **ალექსანდერსპილფის ლუთერული ეკლესია (ნალკა, სოფ. თრიალეთი)**

ლუთერული ეკლესია და სასაფლაო არსებობდა ალექსანდერსპილფშიც, რომელიც აშენდა 1866 წელს. სამლოცველოს გვერდით, იმავე შენობაში სკოლაც იყო განთავსებული. გვერდით კი პასტორის სახლი იდგა. 1906 წელს, ალექსანდერსპილფში ახალი ეკლესია აშენდა. სკოლა კი სხვა შენობაში გადავიდა. სამლოცველო სახლი თემის შეკრების ადგილად გადაკეთდა. საბჭოთა პერიოდში, 1930-იან წლებში, პასტორის სახლი მწყემსებს გადასცეს. ეკლესია კი, სხვა ლუთერული ეკლესიების მსგავსად, გადაკეთდა კლუბად და კინოთეატრად. დღეის მდგომარეობით, ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. 2017 წელს, გერმანიის საგარეო საქმე-

83 შენობის პირველ სართულზე არსებული 24 კვ.მ, მეორე სართულზე არსებული 24 კვ.მ და მასზე ნილობრივად დამაგრებული მინის ნაკვეთი – უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე 2019 წლის 10 ივნისის N4 ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N1035.

თა სამინისტროს ფინანსური დახმარებით, „სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირმა“ მას სახურავის რეაბილიტაცია ჩაუტარა. ალქსანდერსპილფის გერმანელთა სასაფლაოზე მხოლოდ რამდენიმე ძველი საფლავის ქვის ნაშთია შემორჩენილი.

### კატარინენფელდის ლუთერული ეკლესია (ბოლნისი)

1854 წელს, კატარინენფელდშიც აშენდა ლუთერული ეკლესია. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 1940-იან წლებში, ეკლესიას მოანგრიეს სამრეკლო კოშკი და იქ კინოთეატრი მოაწყვეს. შემდეგ წლებში კი მიაშენეს დამატებითი სათავსოები და ის გადაეცა სპორტულ სკოლას, რომელიც დღემდე ამ შენობაშია განთავსებული. შენობაში დღემდე ხელუხლებლად არის დატოვებული საკურთხეველი – აფსიდა, რომელიც დარბაზისაგან ამოშენებული კედლით არის გამოყოფილი, ჩრდილოეთ ფასადის კედელზე კი, რომელიც ახლა ინტერიერშია მოქცეული – არსებობს ქვაზე ამოკვეთილი ჭვრის რელიეფი. გარდა ამისა, როგორც დასავლეთი ფასადი, ასევე შევერილი აფსიდის ფასადებიც თავდაპირველი კონტრფორსებით და ამოშენებული სარკმლებით – თითქმის პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. კატარინენფელდის ეკლესია მუნიციპალურ საკუთრებაშია და არ აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

### ტრაუბენბერგის ლუთერული ეკლესია (მარნეული, სოფ. თამარისი)

ტრაუბენბერგის დასახლება 1908 წელს დაარსდა. დასახლებაში იყო სათემო სახლი სამლოცველოთი, რომელიც დღემდე არსებობს. დღესდღეობით მასში კულტურის სახლია განთავსებული. ასევე, შემორჩენილია გერმანული სასაფლაოც. ლუთერულ თემს ეს ქონებაც დაკარგული აქვს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ.

## სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია

### სურბ წმანი (სურბ ნიკოლაიოს) – თბილისი, სულთნიშნის ქ. №6

სურბ წმანის აშენების თარიღად 1701 წელია მიჩნეული (მოიხსენება ასევე 1624, 1673წ.). მას წმინდა ნიკოლოზის ეკლესიადაც მოიხსენიებდნენ. ასევე, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკაზე ეს ეკლესია „მამასახლისის სახლად“ არის მოხსენიებული. 1802 წლის თბილისის გეგმაზე აღნიშნულია როგორც წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. მომდევნო პერიოდებში მოხსენიებულია უმეტესად როგორც სურბ-წმანი. ბოლო რესტავრაცია 1861 წელს ჩაუტარდა. 1928 წელს, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ეკლესია დაიღუქა და დაიხურა. შემდეგ პერიოდში, გამოიყენებოდა საწყობად და ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნთსაცავად. მასში ძირითადად ინახებოდა სომხური პერიოდული გამოცემები. მის სიმყარეს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა რამდენჯერმე გაჩენილმა ხანძარმა: პირველად 2002 წელს, მეორედ და მესამედ კი 2012 წელს. ეკლესიაზე პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო.

სურბ წმანის ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ის დაურეგისტრირებელია და არავის ბალანსზე არ ირიცხება.

### მოღნის ეკლესიები – თბილისი, ახოსპირელის ქ.№6

მუღნეცოც სურბ გევორგის სომხური ეკლესია აშენდა 1356 წელს (მოიხსენება ასევე 1537წ.). მოღნის წმინდა გიორგის მცირე ეკლესიის გვერდით აშენდა უფრო დიდი ზომის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ეს უკანასკნელი 1751 წელს აუშენებიათ ეჩმიაძინის ნიმუშის მიხედვით.

1795 წელს ეკლესია სპარსელებმა დაარბიეს. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, მცირე მოღნის ეკლესია სატრანსფორმატორო შენობად გადაკეთდა, ხოლო მოღნის ღვთისმშობლის სახელობის დიდი ეკლესია გამოიყენებოდა ეთნოგრაფიული მუზეუმის ნაწილად.

საკლესიო კომპლექსი ავარიულ მდგომარეობაშია. შენობას პირველი ბზარები 1980 წელს გაუჩნდა. ავარიულად მიიჩნევა 1990 წლიდან. მოუვლელობის გამო, 2009 წელს ჩამოიქცა ეკლესიის გუმბათი. შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ის დაურეგისტრირებელი ქონებაა და მასზე პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო.

### **ნორაშენ სურბ ასტვაწანინ – თბილისი, კოტე აფხაზის ქ.№41**

ტაძარი აშენდა 1467 წელს (მოიხსენება ასევე 1507წ). საბჭოთა რეჟიმის დროს, 1925 წელს, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკად გადაკეთდა. ნორაშენის ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და სახელმწიფო ბალანსზეა. დღეს არ ფუნქციონირებს. მასზე პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო.

### **შამხორეცოც სურბ ასტვაწანინ – კარმირ ავეტარან (თბილისი, ფერისცვალების ქ. №21)**

სომებთა კათალიკოსის ნერსეს აშტარაკეცის დავალებით შედგენილ სომხური ეკლესიების რეესტრში ჩანს, რომ აღნიშნული ეკლესია აგებულია 1809 წელს. მანამდე, მის ადგილას 1735 წლიდან იდგა უგუმბათო ხის ეკლესია. 1840-იან წლებში ეკლესიას ჩაუტარდა რესტავრაცია. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მასში განთავსებული იყო სხვადასხვა დანიშნულების ორგანიზაციები. 1989 წელს, მიწისძვრის შედეგად, ეკლესიას გუმბათი ჩამოქცა. დღესდღეობით ის სავალო მდგომარეობაშია. ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და დაურეგისტრირებელი ქონებაა. მასზე პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო.

### **სურბ ეჯმიანინი (თბილისი, არმაზის ქ. №18)**

მე-19 საუკუნის დასაწყისში აშენდა როგორც პატარა დარბაზული ეკლესია. შემდგომ, 1846 წელს, გადაკეთდა გუმბათოვან ეკლესიად. მისი მოხატულობა შესრულებულია მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში. ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ის დაურეგისტრირებელია და არავის ბალანსზე არ ირიცხება.

### **ვანქის სომხური ტაძარი – ჰარანც ვანქ, ფაშავანქ (თბილისი, ათონელის ქ. №3)**

თბილისის უბან „გარეთუბანში“, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ვანქის ტაძარი 931 წელსაა აგებული. ვანქის მონასტრის სამგუმბათოვან ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა 1430, 1480, 1715, 1884-1901 წლებში.

საბჭოთა პერიოდში, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, ვანქის ღვთისმშობლის მამათა მონასტერი დაანგრიეს. მიზეზად ქუჩის რეკონსტრუქცია დასახელდა. დღეის მდგომარეობით, მხოლოდ სამრეკლოა შემორჩენილი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. ის კერძო პირების საკუთრებაშია.

### **სურბ ნშან (სურბ ვარდანანც) – ახალციხე**

ეკლესიის გეგმა შემუშავდა 1861 წელს. მშენებლობა აკურთხეს 1863 წელს და დასრულდა 1868 წელს. 1887 წელს ეკლესიის ეზოში დაკრძალეს ახალციხელი ცნობილი მოქალაქე ვარდან ვარდანიანცი.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში, 1938 წელს, ღვთისმსახურება შეჩერდა. 1941-1949 წლებში გა-მოიყენებოდა როგორც სამხედრო და სხვადასხვა ნივთების საწყობად. 1949-70 იან წლებში მარილის საწყობად. ასევე ფუნქციონირებდა ეთნოგრაფიის მუზეუმიც. ეკლესიაზე პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო. დღეის მდგომარეობით, ეკლესით სარგებლობს რო-გორც სომხური ქრისტიანული თემი, ისევე მართლმადიდებელი თემი.

### **სამღერეთის სურბ ნშან (სურბ გევორქ) – თეთრიწყარო**

ეკლესიის შესახებ პირველი ცნობები 1857 წელს გვხვდება. ეს ეკლესია აქ XIX საუკუნეში ჩამო-სახლებულმა მოსახლეობამ წმინდა სარგისის – სურბ სარქისის სახელზე აკურთხა.

### **ერევანცოც სურბ მინას – თბილისი**

თბილისის „ერევანცოც სურბ მინასი“ აშენდა 1790 წელს. აღადგინეს 1811 წელს. 1870 წლის-თვის ეკლესია მრევლს ვერ იტევდა და დაზიანებული იყო. ამიტომ მის ადგილზე ახალი ეკლე-სიის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 1883 წელს დასრულდა.

1924 წელს, თბილისის აღმასრულებელი კომისიის გადაწყვეტილებით, ეკლესია დაიხურა და კლუბად გადაკეთდა. შემდეგ პერიოდში ფუნქციონირებდა როგორც სამკერვალოც. 1990 წლიდან ეკლესია მიტოვებულია. მასზე პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო.

### **თანდოიანც სურბ ასტვაწანინ – ღვთისმშობლის სახელობის სომხური ეკლესია (თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №38)**

სავარაუდოდ, აშენებულია XIX საუკუნის I ნახევარში სოფელ კუკიაში. ამ პერიოდში სოფელ კუკიაში იმატა სომხურმა მოსახლეობამაც. გადმოცემით, ეს ეკლესია სომეხმა მცხოვრებმა ჰა-სავ თანდოიანცმა 1860 წელს ააგო. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება თანდოიანცის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერები, სომხურ ენაზე შესრულებული. საბჭოთა პერიოდში ეკლე-სია დაიხურა. გამოიყენებოდა კინოთეატრად, ასევე მეებოვეთა კლუბად. თანდოიანცის ეკლე-სიას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არ აქვს მინიჭებული დამოუკიდებლად. თუმცა, ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს აღამაშენებლის გამზირის ქ38-ში მდებარე უძრავ ნივთს, რომლის სავადასტრო ერთეულშიც მდებარეობს საკულტო ნაგებობა. შესაბამისად, მას-ზე ვრცელდება ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. 2017 წლის ივლისში კი საქართველოს მთავრობამ ეკ-ლესია საქართველოს საპატრიარქოს გადასცა საკუთრებაში. გადაცემის პროცესში სახელმწიფომ ნაგებობის კონფესიური ნარმომავლობა არც კი გამოიკვლია.

## **კათოლიკე ეკლესია**

### **კათოლიკური ეკლესია ქუთაისში**

1800 წელს იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ კათოლიკე მისიონერებს საჩუქრად მიწის ნაკ-ვეთი გადასცა, სადაც ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს. უბინო ჩასახვის კათოლიკური ეკლესი-ის მშენებლობა 1826 წელს დაიწყო და 1862 წელს დასრულდა. 1939 წელს დაიხურა. 1989 წლიდან გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს და დღეს ხარების ეკლესია ჰქვია. ნაგებობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

აღსანიშნავია, რომ 2001 წელს ლათინ კათოლიკეთა გაერთიანებამ კერძო სამართლის იურიდიული პირის, კავშირ „სავარდის“ სახელით<sup>84</sup> კათოლიკური ეკლესის სასამართლო წარმოების გზით დაბრუნება სცადა. თუმცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 1939 წლამდე კათოლიკეთა საკუთრებაში არსებული ეკლესის შენობა დავის მომენტში მართლმადიდებელი ტაძრის სტატუსის მქონედ მიიჩნია<sup>85</sup>, რადგან ამ დროისთვის ნაგებობით უკვე მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობდა. მნიშვნელოვანია, რომ კავშირ „სავარდის“ პირდაპირი და ექსკლუზიური კავშირი საქართველოში წარსულში მოქმედ კათოლიკე გაერთიანებებთან აღიარებული იყო რომის წმინდა საყდრის მიერ და დასტურდებოდა ამიერკავკასიაში კათოლიკე ეკლესის სამოციქულო აღმინისტრატორის წერილით. ამის მიუხედავად, უზენაესმა სასამართლომ მოსარჩეულე კათოლიკე გაერთიანებების სამართალმემკვიდრედ არ ჩათვალა.

ნიშანდობლივია, რომ უზენაესი სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილებით, არამართლზომიერად ჩამორთმეული ქონება მესამე პირს გადაეცა, რაც პრობლემის აღმოფხვრის პერსპექტივას კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

### **სოფელ უდეს კათოლიკური ეკლესია (ადიგენის მუნიციპალიტეტი)**

ეკლესის მშენებლობა დაიწყო 1904-1906 წლებში სოფლის მკვიდრ სიმონ ჭილაშვილის თაოსნობით. ეკლესის მშენებლობის საშენი მასალის ხარჯები სოფელმა გაიღო. სიმონ ჭილაშვილს მშენებლობის დასაწყისში მხოლოდ 1500 მანეთი ჰქონდა და სესხით 11000 მანეთი დაამატა. არსებობს ხელნაწერი, რომელიც ადასტურებს ეკლესის მოსახლეობის ხარჯებით აგებას: „უდეს არს კათოლიკენი 2120 სული მშენებელი ამა საყდრისა მაჟმადიანები 520 სული ტომით ქართველნი ღვთისმშობელო შენ გწირავთ ჩვენ შრომასა“.

სხვა ეკლესიების მსგავსად, ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა, რომელმაც მნიშვნელოვალად შეცვალა ტაძრის იერსახე. კათოლიკების თქმით, მართლმადიდებელი მრევლის წევრებმა უდეს ტაძრიდან ჰერ სალოცავ კუთხეში განთავსებული ლათინ კათოლიკეთა რელიგიური ატრიბუტიკა გაიტანეს, ხოლო შემდეგ სამლოცველოში ლოცვის უფლებასაც არ აძლევდნენ კათოლიკე თემს. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა სამრეკლოები და მართლმადიდებელი იერარქების საცხოვრებელი ნაგებობები. 2012 წელს ადგილობრივმა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა ტაძრის გუმბათის სარემონტო სამუშაოები თვითნებურად დაიწყეს, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული<sup>86</sup>.

### **ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი**

ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი 1897-1902 წლებში აიგო, „ფსევდოგოთურ“ სტილში. მშენებლობის ინიციატორი იყო მღვდელი ანსელმ მღებრიშვილი. იგი მიხეილ თამარაშვილს, ქართველ მეცნიერს და რომის კათოლიკური ეკლესის აბატს, 1898 წელს სწერდა, რომ მშენებლობისთვის საჭირო იყო 80 000 მანეთი. მშენებლობა დააფინანსა მეცნიერმა და მრევლის წევრმა სტეფანე ბუბალაშვილმა. ეკლესის აღმოსავლეთ

84 2001 წლისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად, გაერთიანებებს რელიგიური ორგანიზაციის სახით არ ჰქონდათ რეგისტრაციის საშუალება.

85 იბ. საქართველოს უზენასი სასამართლოს 2004 წლის 27 აპრილის Nბს-275-416-კ-03 გადაწყვეტილება.

86 იბ. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანება, <http://www.culture.gov.ge/getattachment/ContentMenu/CulturalHeritage/Orders/2006-cels-gamocemuli-brdzanebebi;brzaneba-3-133,-30-03-06,-saqarTvelo,-mTlian.pdf.aspx>,

თასადმე იკითხება შემდეგი წარწერა: „ტაძარი ესე ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი მარიამისა თვისის ბლდითურთ ავაგე მე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა საცხოვნებლად სულისა ჩემისა მშობელთა და დათა ჩემთა“.

საბჭოთა წლებში ეკლესია დაიხურა. მასში მოწყობილი იყო მაღალი ძაბვის ლაბორატორია. 80-იანი წლების ბოლოს ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა და მოხატულობა პირვანდელი სახით აღდგა. 1989 წლიდან ეკლესია საქართველოს საპატიო საკუთრებაა. დღეს ტაძარში ფრესკების ნაწილი დაზიანებულია, კედლისა და სვეტების მოხატულობა კი, ნაწილობრივ მოშლილი. ტაძრის წინ ასევე არსებობდა აბრა, ინფორმაციით ეკლესის შესახებ, თუმცა მართლმადიდებლებმა ისიც აიღეს. ეკლესიაში კათოლიკებს წირვა-ლოცვის ჩატარების უფლება არ აქვთ. ტაძარს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს და კათოლიკე ეკლესია მის კონსერვაციასა და ისტორიული იერსახის შენარჩუნებას ითხოვს.

### **კათოლიკური ეკლესია გორში**

აშენდა 1806-1810 წლებში. მოიხატა ამავე საუკუნის მეორე ნახევარში. საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში მდებარეობდა გორის სამუსიკო სკოლა. 1950 წელს ეკლესიის კედლები შეათეთრეს და დაზიანდა მოხატულობა. სხვა კათოლიკური ეკლესიების მსგავსად, გორის კათოლიკე ეკლესიაც დღესდღეობით საქართველოს საპატიო საკუთრებაშია და მასში განთავსებულია გორის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი. შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

### **ბათუმის სომხურ-კათოლიკური ეკლესია**

აშენდა 1877 წელს. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ეკლესია გაუქმდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ის რელიგიურ თემს არ დაუბრუნდა. 2012 წლიდან არის საქართველოს საპატიო საკუთრებაში. 2017 წელს ჩამოინგრა ეკლესიის სახურავი. შენობა მნიშვნელოვნად დაზიანებულია. მას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

### **სოფელ ივლიტას კათოლიკური ეკლესია**

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტას ღვთისმშობლის შობის სახელობის კათოლიკური ეკლესია VIII-XX საუკუნეებით თარიღდება. 1991 წლიდან მართლმადიდებელ ეკლესიას გადაცა. 1999 წელს მოანგრიეს კათოლიკური საკურთხეველი და მის ქვეშ კათოლიკე მისიონერის საფლავი. კათოლიკე სასულიერო პირებს მსახურების შესაძლებლობა არ ეძლევათ. ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

### **ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესია**

ბუზმარეთში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარეობს შუა საუკუნეების ეპოქის ამაღლების სახელობის ეკლესია. სასაზღვრო ზონაში მდებარეობის გამო, კათოლიკებს ტაძარში მისვლა მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში შეეძლოთ. 2006-2007 წლებში აღადგინეს. 2008 წლიდან ტერიტორიაზე მართლმადიდებლური მამათა მონასტერიც აშენდა. კათოლიკებს ეკლესიაში შესვლის შესაძლებლობა აღარ ეძლევათ. ისინი წელიწადში ერთხელ, ამაღლების დღესასწაულზე მიდიან ეკლესიის მახლობლად და გარეთ, ტყეში ლოცულობენ. ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

## იუდეველი თემი

### თბილისში, აბესაძის ქუჩაზე მდებარე სინაგოგა, ამჟამად „სამეფო უბნის თეატრი“

აშვენაზი ებრაელები საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისიდან შემოვიდნენ. თბილისში 1850-იან წლებში უკვე მოქმედებდა აშვენაზთა „ჭარისკაცთა“ სინაგოგა, თუმცა, თბილისის გეგმებზე 1898 წლამდე არ არის აღნიშნული. 1898 წლის თბილისის გეგმაზე ის აღნიშნულია.

გაჩეთ „კავკაზის“ ცნობით, 1887 წელს თბილისელმა ებრაელებმა დაიწყეს თანხის შეგროვება თბილისში კათოლიკურ ქუჩაზე ძველი სინაგოგის ადგილზე ახლის აშენებისთვის. მშენებლობა დაიწყო 1903 წელს, ამ ამბავს ადასტურებს გაზეთები „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“. მშენებლობის პროცესის დროს (1903-1915წწ.) სინაგოგა არცერთ რუკაზე არ არის აღნიშნული. აშვენაზების სინაგოგა საზეიმოდ გაიხსნა 1918 წელს.

საბჭოთა რეჟიმის დროს, 1923 წელს, სინაგოგა დაიხურა. 1928 წელს მასში განთავსდა „ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი“. 1932 წელს გადაეცა თბილისის კიროვის რაიონის საბინა სამმართველოს. 1950-იან წლებში მდებარეობდა ქ219 სახლმმართველობა. 1997 წლიდან დღემდე სინაგოგის შენობაში ფუნქციონირებს სამეფო უბნის თეატრი. შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, როგორც სამეფო უბნის თეატრს. 2001 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შენობა თანასაკუთრების უფლებით გადაეცა ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას, გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა.

### საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი (გუმბათოვანი სინაგოგა)

თბილისში, ანტონ კათალიკოსის ქ. ქ3-ში „გუმბათოვანი სინაგოგა“ 1910 წელს აშენდა. 1940 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ ამ შენობაში გადმოიტანა ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. საბჭოთა კავშირში ანტისემიტური განწყობების გაძლიერების ფონზე, 1951 წელს მუზეუმი დაიხურა. მასში არსებული მოძრავი ძეგლები, რომელიც ებრაელთა მუზეუმის საკუთრება იყო, დროებით გადანაწილდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში.

მუზეუმი აღდგა 1992 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით და გახდა ებრაელი საზოგადო მოღვანის და რაბინის – დავით ბააზოვის სახელობის. საქართველოს დამოკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ძლიერ დაზიანებულ შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. ასევე, პრეზიდენტის განკარგულებით განისაზღვრა, რომ მუზეუმს დაბრუნებოდა ის ისტორიული და ეთნოგრაფიული მნიშვნელობის მოძრავი ძეგლები, რომლებიც წარსულში სხვადასხვა მუზეუმში გადანაწილდა. თუმცა, ამ დრომდე ექსპონატების დიდი ნაწილი არ დაბრუნებულა. ებრაელთა ისტორიის მუზეუმი („გუმბათოვანი სინაგოგა“) სახელმწიფოს ბალანზეა და ებრაულ თემს საკუთრებაში არ დაბრუნებია.

### ბათუმის სინაგოგა

ბათუმში, 9 მარტის ქუჩაზე, XIX საუკუნის ბოლოს აშენდა საცხოვრებელი სახლი, რომელიც სამ ებრაელს ეკუთვნოდა. მათ 1920 წელს საცხოვრებელი სახლი სარგებლობისთვის გადასცეს ებრაულ თემს. შემდეგ შეიძინა სამლოცველო სახლის ფუნქცია. საბჭოთა რეჟიმის დროს, სინაგოგამ ფუნქციონირება შეწყვიტა და საცხოვრებელ ფონდში შევიდა.

დღესდღეობით, მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის გამო, შენობა დანგრევის პირასაა და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე ირიცხება. შენობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

## სინაგოგა ახალციხეში

სინაგოგა ახალციხეში, რაბათის უბანში (გურამიშვილის ქ.), 1902 წელს აწყურიდან გადმოსულმა ებრაელებმა დააარსეს. საბჭოთა პერიოდში, 1953 წელს, სინაგოგა გაუქმდა და მასში ბიბლიოთეკა მოეწყო. შემდეგ კი – სპორტული დარბაზი. შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. დღესდღეობით უმოქმედოა.

## მუსლიმი თემი

### შაჰ-ისმაილის მეჩეთი

შაჰ-ისმაილის შიიტური მეჩეთი 1522 წელს ააგო შაჰმა ისმაილმა. მეჩეთის გუმბათი ცისფერი შორენკეცებით (ფერადი აგური) იყო მოპირკეთებული. ამის გამო, მას ხშირად „ცისფერ მეჩეთსაც“ უწოდებდნენ. მდებარეობდა თბილისში მეტეხის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს. საბჭოთა რევიმის პირობებში, 1951 წელს, დაანგრიეს მეტეხის ძველ ხიდთან ერთად. მათ ადგილზე ახალი ხიდის მშენებლობა მიმდინარეობდა. დღესდღეობით, ისტორიული შენობიდან მხოლოდ ცისფერი შორენკეცებია შემორჩენილი, რომლებიც ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

### ბათუმის შიიტური მეჩეთი

ასევე, შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ბათუმის შიიტური მეჩეთი, რომელიც ლ. ასათიანის ქუჩაზე მდებარეობს. შენობა დღემდე შემორჩენილია. ის საკულტო ნაგებობის ფუნქციით 1910-დან 1938 წლამდე გამოიყენებოდა. მეჩეთი ირანის საკონსულოს პატრონაჟის ქვეშ იყო. საბჭოთა რევიმის პირობებში მან ფუნქციონირება შეწყვიტა. დღესდღეობით, შენობა სახელმწიფო ბალანსზეა. მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული არ აქვს.

## სოფელ მოხეს მეჩეთი

მოხეს მეჩეთი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მესხი მუსლიმების მიერ აშენდა. მასზე შემორჩენილია ისლამური სალოცავებისათვის მახასიათებელი არქიტექტურული დეტალები. საბჭოთა პერიოდში იგი დიდი ხნის განმავლობაში საწყობად, ბიბლიოთეკად და სოფლის კლუბად გამოიყენებოდა. 2007 წლიდან შენობა ადიგენის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა.

მუსლიმებმა მეჩეთის შენობის კონსერვაციის ან რესტავრაციის თხოვნით 90-იანი წლებიდან მოყოლებული ხელისუფლებას რამდენჯერმე მიმართეს, მაგრამ მათ თხოვნას კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. მუსლიმები შენობის საკუთრებაში გადაცემასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, შენობის კონსერვაციას, შემოღობვასა და დაცვას ითხოვდნენ. სანაცვლოდ 2014 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ შენობის გარემონტება და იქ მუსიკალური, ქორეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცენტრის გახსნა გადაწყვიტა.

2014 წლის 18 ოქტომბერს, მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შენობის დანგრევა დაიწყო, თუმცა მუსლიმების პროტესტის შემდეგ დემონტაჟი დროებით შეწყვიტა. 2014 წლის 22 ოქტომბერს მეჩეთის დანგრევა განახლდა. სამოქალაქო

პროტესტის დროს, სამართალდამცავებმა მუსლიმ მოქალაქეებს სავარაუდოდ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. შსს–მ 14 მუსლიმი მოქალაქე დააკავა.

2014 წლის ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, სადავო შენობაზე პრეტენზია საქართველოს სა-პატრიარქომ განაცხადა. მათი თქმით, მე-18 საუკუნეში აღნიშნულ ადგილას ქრისტიანული ტა-ძარი იყო. საპატრიარქოს მეორე ვერსიით კი, მეჩეთი ეკლესიის ქვებითაა აგებული. აღსანიშ-ნავია, რომ საპატრიარქოს არ წარუდგენია ისტორიული ან/და საექსპერტო დასკვნა, რომელიც მათ ვარაუდს გაამყარებდა.

2014 წელს, სადავო შენობის წარმომავლობის დადგენის საბაბით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გადაწყვეტილებით შეიქმნა „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხე-ში მდებარე კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისია”, რომელიც დაკომპლექტდა ქრისტიანი და მუსლიმი თემის, ადგილობ-რივი ხელისუფლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თავად რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებით. მუსლიმი თემის მოთხოვნის მიუხე-დავად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ უარი განაცხადა პროცესში დამკვირვებ-ლის სტატუსით დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სახალხო დამცველის ჩართვაზე. კომისიის ორწლიანმა მუშაობამ აჩვენა, რომ შექმნის დღიდან კომისიას დასახული არც ერთი მიზნისთვის არ მიუღწევია და არც რაიმე შედეგზე ორიენტირებული ნაბიჭი გადაუდგამს. 2017 წლის 11 მა-ისს კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო<sup>87</sup>, რომლის თანახმადაც, შენობა ისტორიულ მესაკუთრეს არ გადაეცა, მუნიციპალიტეტის საკუთრებიდან გადავიდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებაში და შევიდა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუს-ხაში, სტატუსით „სადავო ნაგებობა“. კომისიის გადაწყვეტილება ასევე შეიცავდა პირობას, რომ სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს საკუთრებაში უნდა გადასცემოდა მინის ნაკვეთი სოფელ მოხეში, რომელზეც უნდა აშენებულიყო ახალი მეჩეთი.

## სოფელი მუხაესტატეს მეჩეთი

სოფ. მუხაესტატეს მეჩეთი მე-18 საუკუნეშია აშენებული. საბჭოთა პერიოდიდან ის პოლიციის შენობის დანიშნულებით გამოიყენებოდა. 2010 წელს, სახელმწიფომ, მუსლიმთა თხოვნის მიუ-ხედავად, დაანგრია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ისტორიუ-ლი მეჩეთის ნაგებობა და სრულიად ახალი პოლიციის შენობა ააშენა.

## ქობულეთის მეჩეთი (აღმაშენებლის ქ. №100)

ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მეჩეთი საბჭოთა რეზიდენცია დროს მუსლიმ თემს ჩა-მოერთვა. მასში კულტურის სახლი ფუნქციონირებდა. დღეის მდგომარეობით, მასში მუზეუმია განთავსებული და სახელმწიფო ბალანსზე ირიცხება. შენობას არ აქვს კულტურული მემკვიდ-რეობის ძეგლის სტატუსი.

## სოფელ ჭახათის მეჩეთი

საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელ ჭახათის მეჩეთში განათავსა კულტურის სახლი. დღეის მდგო-მარეობით, მასში განთავსებულია გამგეობა და ირიცხება სახელმწიფო ბალანსზე.

87 რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს განცხადება იხილეთ აქ: <http://religion.geo.gov.ge/geo/news/moxes-komisiam-gadatsyvetileba-miigho>

## **სოფელ ფლატეს მეჩეთი**

მეჩეთი 1927 წელს არის აგებული. საბჭოთა რეჟიმის პირობებში სხვადასხვა დანიშნულებით ფუნქციონირებდა (კლუბი, ბიბლიოთეკა, მაღაზია). დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, შენობა საქონლის სადგომად იყო გადაქცეული. რამდენიმე წლის წინ, სოფლის მცხოვრებ-მა ქრისტიანებმა ის მნიშვნელოვნად დააზიანეს. ჩამოანგრიეს კარიბჭე და მოხსნეს ზედა ორი რიგი მოჩუქურთმებული ქვა. ამ საკითხთან დაკავშირებით 2014 წელს გამოძიებაც მიმდინარეობდა, შენობის განზრახ დაზიანების თაობაზე. დღეის მდგომარეობით, შენობა დანგრევის პირასაა. ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის აღიარებული 2016 წლიდან.

## **აბასთუმნის მეჩეთი**

აბასთუმნის მეჩეთი მე-19 საუკუნის ბოლოს არის აგებული. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მან ფუნქციონირება შეწყვიტა. ბოლო პერიოდში შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა და დაინგრა. მასში არაფერია განთავსებული და მიტოვებულია.





တရာုဝင်းကောင်းစဉ် မြန်မာနိုင်ငြာဏ်ဒေသပါတီ